

მანიანე ჰიპნავედიძე-პაპიძე

იაკობ გობეგაშვილის  
დაღა ენის საიდუმლო



# მარინა კიკნაველიძე

იუკოტ გოგეხაძევირის  
რედაქციის საილუმინაციო

რედაქტორი:

გამოცემის რედაქტორი: მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ალექსანდრე კუზანაშვილი

გამომცემლობა  
„სვეტი +“

© მარინე კიკნაველიძე. თბილისი 2016.

## წინასიტყვაობის წინ სათქმელი სიტყვა

„ლიტერატურა ერის სულის უდიდესი გამომხატველია. ქართულ ლიტერატურაში ჩაბუდებულია ჩვენი **ცნობიერება**, ჩვენი **ინტელექტი**, **გრძნობა**, **სინდისი**, **პატიოსნება**, ჩვენი **ძალა**, **მიტევების უნარი**, აწმყოსთან დამოკიდებულება, მომავლის შეგრძნება, ამიტომ ჩვენი ვალი, შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს ამ განძთან ზიარება.

ჩვენ მსოფლიოს ღირსეული მოქალაქეები რომ გავხდეთ, უნდა შევძლოთ სულიერი ზიარება წინაპართან, თანამედროვესთან და შთამომავალთან, ამას ლიტერატურა შეგვაძლებინებს.

**კონკრეტული პიროვნებები იბადებიან და კვდებიან, მაგრამ ერი თავისი არსით უკვდავია.**

მწერლობა ეროვნული სულის გამოსხივებაა. ეროვნული სული დაუშლელი განუცალკევებელი რამაა, ამიტომ ლიტერატურის განვითარების პერიოდებზე საუბარი პირობითია“.

1975 წელი

პირველი ლექცია, პირველი ჩანაწერი

უნივერსიტეტგამოვლილი ყური ფილოლოგიური ფაკულტეტისა უმაღლესი ამოცნობის მის ავტორს შერჩეული სიტყვებით, აზრთა ლოგიკური წყობით, მიზნისკენ მიმავალი ბილიკის შუქის ბრწყინვალეობით და ცხოვრების ფილოსოფიური ხედვის არა მხოლოდ ანბანური ცოდნით.

ჩემს ოჯახში წიგნების თაროზე სტუდენტობისდროიდან მიჩენილ ადგილზე სალექციო ჩანაწერების მრავალი ასფურცლიანი რვეული ცხოვრობს პატივით. ისინი აზრებთან ერთად შეგრძნებებში აცხოცხლებენ აუდიტორიების უამრავ სასიამოვნო პერიპეტიებს, თანაკურსელთა თუ ლექტორთა



კინოკადრულ სახეებს და იქ მონაქროლ თავისუფალი ცოდნის ნიახს.

სალექციო რვეულებს სახელად ლექტორთა გვარებს ვაწერდი. ეს ადამიანები ჩვენთვის იყვნენ კარი ცოდნისა, ამიტომ საგნის დასახელება აღარ მჭირდებოდა.

ცოდნის კედელზე ყველა, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი თავისი ნიჭიერებით მიდის და უკაკუნებს, რომ შესასვლელი კარი იპოვნოს და ქართული სულიერების ავზში მოხვდეს. ძალიან ბევრი პიროვნებადქცეული ეროვნულ მთაზე ასული პერსონა ულამაზესად ცურავს კიდევაც ამ ავზში ნიჭიერად, ბევრი უკვე გარდაცვლილი, ბევრიც ცოცხალი სხვადასხვა პროფესიულ შრეებში: მსახიობობით, ცეკვით, სიმღერით, გეოგრაფობით, ფილოლოგობით, იურისტობით, მათემატიკოსობით, ფილოსოფოსობით, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური რელიგიური ზნეობით, მაგრამ სამყარო, სადაც ხუთი მწერლის: შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ცხელი გული ერთად ასვენია, იქ ვერავის შეუღწევია.

სრულიად საქართველოსთვის იქ მისასვლელი გზის თოვლის გაკვალვა 23 წლის ასაკში დაინყო იაკობ გოგებაშვილმა, რომელიც დაგვირგვინდა „დედა ენით“, „საგანძურით“, „ბუნების კარით“ და იმ უდიდესი ღვანლით, რომელიც მან გასწია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მუშაობით.


წინამდებარე ნაშრომი იაკობ გოგებაშვილს გაგაცნობთ როგორც კაცს, რომელსაც ღმერთკაცის ხელის სიმწიფით ხელთ უპყრია ქართული სახელმწიფოებრიობის თავისუფალი სიტყვის მანდატი.




## ვილინოს გასაღები „ვეფხისტყაოსნის“ სულიერების ტანისა

1. ქართული სულიერების ხუთეულის გულის გულში მოსახვედრად უნდა დავიზებუროთ ხუთი ხელი და მასზე გადატარებული ფენომენალური ღირებულებები.






1. 6 კითხვითი ნაცვალსახელი.
2. ბგერათა სისტემაში მოხვედრილი ხუთეულები
3. სიტყვა ვარდი

2. მეორე მოქმედება გასაღების გადასატრიალებლად შემდეგია: გადავატაროთ ხუთი თითის მიგნებული კითხვითი ნაცვალსახელების და ბგერების ხუთეულთა სისტემაში მოყვანილი სიტყვის და ხმის ცნობიერება ხმოვანთა სამკუთხედს, რომელიც მსოფლიო ენათმცენიერული სტანდარტია; ოღონდ ტოლფერდა სამკუთხედის მარცხენა ფერდს დავარქვათ ადამიანური ცნობიერების ხაზი, ხოლო მარჯვენას ტყის ცნობიერების ხაზი.







3. სმესამე მოქმედება: სამკუთხედის ფუძე შევმოსოთ მთვარის სისრულის ისეთი გამოსახულებით, რომელიც ფრჩხილზე გვახატია და ახლა ამ გამოსახულებას გადავატაროთ კითხვებიც და ბგერებიც.



4. მეოთხე მოქმედებას გვიკარნახებს ქართველთა მისტიკური საქციელი, რომელიც შემდეგნაირად სრულდებოდა: ახალი მთვარის დანახვისას მოძრაობდა არა თითზე გაკეთებულ ოქროს რგოლს და იქიდან დაუნწყებდა ჭვრიტინს მას. ახალი მთვარე დაგვანახა მესამე მოქმედებამ. ახლა მეოთხე მოქმედების თანახმად მთვარის სავსე დისკო ამოვუფინოთ სამკუთხედს და მივიღებთ მთვარის საათს.





ახლა მთვარის ცნობიერების საათს გადავატაროთ ნიშნულები კითხვებისა და ბგერებისა.

1. მთვარის საათზე ასე დაიტანება

6 – ვინ რა

9 – რომელი

10 – როგორი და სრულყოფილი ათის ცნობიერების

12 – რანაირი

1 – რამდენი

მთვარის საათს ცენტრი არა აქვს

2. მთვარის საათი

6 სთ – ვ

9 სთ. – მ

10 სთ. — ნ

12 სთ – რ

1 სთ. – ლ

4. მთვარის საათი

6 სთ – გ ქ კ

9 სთ – ძ ც წ

10 სთ. – დ თ ტ



12 სთ – ბ ფ პ

1 სთ — დ თ ტ

აქ აირია საათი?

1. პირველი საათი ათის მოპირდაპირე წერტილია თუ თერთმეტის, ესაა გასარკვევი

2. რატომ აირია საათი? ქართულ ცნობიერებას, თითების გამო აერია საათი (იხილეთ რამაზ პატარიძის მოსაზრება გვ 12).

3. სწორედ ამიტომ დაიწყო ათვლა თითებიდან ათ-ერთმეტი

ერთი – ღმერთია მზიან ღამეში

4. ათ ორ მეტი – თორმეტი არანაირად არ არის ღმერთი იმიტომ, რომ ღმერთი ერთია – ორი კი უკვე ადამიანია, რომელშიც ორი ფენომენი საქმობს გონება და ხელი თორმეტთან მივიდა კაცი გაორებული ცნობიერებით.

5. თორმეტთან დაყენებულ კაცს თავი ღმერთი ჰგონია, იმიტომ რომ იქ მზიანი ღამეა. მზიანია ადამიანის ხელისთვის, რასაც უნდა იმას აკეთებს, რადგან ღმერთის ძლიერება ადამიანის გონებას აზნელებს. ხელი კი ასრულებს გონების გადანყვეტილებას.

ამიტომ ყველა ვარდი ათ საათამდე ვარდობით მიღწეული 11 საათზე რწყილობაში რუში იხრჩობა. რუში ჩავარდნილია ვინაობა ქიანჭველა, რომელსაც უნდა დაეხმაროს რწყილი, მაგრამ როგორ უნდა დაეხმაროს ის მთვარის თერთმეტმა საათმა გააბაქიავა და თორმეტზე ადამიან ღორად გადაიქცევა.

რა უნდა ქნას ადამიანმა?

ცივილიზაციამ უნდა გამოიგონოს ცნობიერების საათი, სადაც ადამიანი თავის თავს თავის სარკეში დაინახავდა ფიროსმანის გარეული ტახის გამოსახულებაში დიდი თერთმეტი მარჯვენა ეშვით.

ადამიანმა შექმნა მზის საათი, მაგრამ ცივილიზაციის

გზებზე დაეკარგა მთვარის საათი, ამიტომ ველარ გაიხსენა რაში ჭირდებოდა მზის საათი.

შემდეგ ღმერთი თვითონ ჩამოვიდა დედამინაზე ზნეობის ათი მცნებით, მაგრამ ადამიანმა ვერ იცნო ღმერთი და ანამა.

აქ ვართ დღეს შეჩერებული, დაბნეულები, გაოგნებული, რადგან მზის საათი ხან ოჯახში ცხოვრობს, ხან ფანჯრებს იქით. იგივე ემართება მთვარის საათს.

გოგებაშვილის საათს მარცხენა მხარეს უხატია ოღონდ ნახევარსიზუსტული მინიშნებით ჩექმის უქუსლო გამოსახულება, რომლის ყელში უმკრთალებსად ვითომდა უსუსტესი ორი ალის ენაა ამოყოფილი.

სურათის ეს დეტალი წაკითხული ჰქონდა აუცილებლად ფიროსმანს, რადგან რუსთაველს მან ჩააცვა ჩექმა, რომლის ქუსლი ორი სინვრილითაა გამხოლოებული.

ყოყველივე ეს სიზუსტით დაინახა და შეაფასა XIX ს-ის ერთ-ერთმა დიდმა სრულიად ახალგაზრდა ფილოსოფი მასწავლებლის – სოლომონ დოდაშვილის სიბრძნის წყალს




დანაფებულმა მონაფემ – ნიკოლოზ ბარათაშვილმა მელიტონის ოჯახიდან მზირალი გონიერებით:

„გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?“

მას ჰგავდა მთვარე ნაზად მოარე, დისკო – გადახრით შუქმიბინდული“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ხედავს ქართული ცნობიერების საათს მთვა-



რეს და მას ესაუბრება. ასეთ ანალიტიკურ პრიზმაში უნდა მოვახვედროთ ნიკოლოზ ბარათაშვილის სალექსო სხეული და მერე მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან დაელაპარაკებიან მას ის ფენომენები, რომელთა აზროვნება ჩაკეტილი არ იქნება ეპოქის სატუსალოში.

ბოდა არა უგვიანეს ძვ.წ. XI საუკუნისა (19. გვ.191).  
რძას ჰატარიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული  
ასომთავრული ანბანი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე მეტად  
სრულყოფილი ანბანური დამწერლობაა ყველა სხვა ანბანურ  
დამწერლობათა შორის. იგი ერთდროულად ძველქართული წარ-  
მართული კალენდარია. მასში როგორც ბაბილონური მთვარის  
ასევე შვის ეკვიპტური კალენდარული სისტემა არის განხორ-  
ციელებული. ქართული ასომთავრული ანბანის კვლევაში ცხადყო,  
რომ გარდა კალენდრული მნიშვნელობისა, ქართულ ანბანში,  
ასო-ნიმნებს და შესაბამისად რიცხვებს ციური, ღვთაებრივი მნიშ-  
ვნელობა აქვთ. ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებუ-  
ლია თვლის ათობითი და ათწილადური სისტემა. თვლის ათწილად-  
ური სისტემა ქართულ ანბანში საიდუმლოდ არის შენახული.  
ასომთავრულ ანბანში ჰირეველად მათემატიკის ისტორიაში „პი“  
რიცხვის უზუსტესი მიახლოებითი მნიშვნელობა – 3,14 დას-  
ტურდება. გამოკვლეულია, რომ „პი“ რიცხვის ესოდენ უზუსტი  
ათწილადური მნიშვნელობა ძველი აღმოსავლეთის მათემატიკაში  
არ იცოდა. ძველი ეკვიპტელები და ბაბილონელები მხოლოდ  
წილადებს წერდნენ. არც ბერძნებს ჰქონდათ ამის ცოდნა. ამ  
კალენდარს სიზუსტით ბადალი არ გააჩნია. ესოდენ სრულყო-  
ფილი კალენდარული სისტემა კალენდრის ისტორიაში არ იცის.  
ქართული ასომთავრული ანბანი ქართველ ქურუმთა წიაღში უნდა  
შექმნილიყო. ერთ-ერთმა ქართველმა ქურუმთაგანმა შექმნა მარა-  
დიული და უკვდავი ძეგლი – ქართული ასომთავრული ანბანი,  
რაკი ამ ანბანში მარადიული დრო მდინარებს. (15).

3ი — 3,14

ზოიტი აინჯაქი მთა ძველი  
აღმოსავლეთის მათემატიკაში იყო

**„ქება და დიდება ქართულისა ენისა“  
იოანე ზოსიმე 926 წ.**

**„დამარხულ არს ენაი ქართული“**

● ენის დამარხვა არის მისი მხოლოდ საკომუნიკაციო მოხმარება.

● ენა – სახელმწიფოს შექმნის ბერკეტია.

● ენა სახელმწიფოებრივ ბერკეტად რომ ვიხმართ შიგ ჩადებული აზრი უნდა წავიკითხოთ მხედრულ გარშემონერილობაში და ფონოლოგიურ შლილობაში. ეს კიამუშავეებს სახელმწიფოებრივად მფეთქავ ადამიანის გულს, რომელიც ისეთ ინფორმაციას გადასცემს გონებას, რომ ხელს აამოძრავებს ქვეყნისათვის.

ენა უნდა გახდეს ცნობიერების მშობელი საგნობრიულ, მეტაფორულ, მონმე ცნობიერულ გამოსახულებაში, ეს არის იაკობ გოგებაშვილის გაკვალული გზა.

ია – საგნობრიული

ია – მეტაფორული

ია – მონმე-ცნობიერული

ია – ქართველთა სახვარ-სამანია.

განა მძინარე არ არის სიტყვა მზეჭაბუ

**„მძინარე არს დღესამომდე“**

განა მძინარე არ არის სიტყვა მზეჭაბუკი?

ამ სიტყვის ბგერობრივი მთლიანობა ფენომენი გვიყვება როგორ უნდა გადაიქცეს, მალხაზი, ყმანვილი ბიჭი ფენომენად, რომელიც გადაიშლება ჟამიერობაში ვარდად.

პირველი მზეჭაბუკი რუსთაველია, რომელმაც ქართული სიტყვა „ჭაში ჩავარდნილი კაცის არაკუმი“. ჭაში ჩააგდო და იქიდან შემოჰყვივლა მომავლის საქართველოს თავისი სი-

ტყვის ბუკით.

განა მძინარე არ არის თვითონ სიტყვა რუსთაველი ფეოდალურ ზედწოდებაში ჩაძინებული. მოდით მასაც შევახოთ ავტორის ჯადოსნური სკიპტრა და რუსთაველის ფრესკაზე სამად დაშლილი სიტყვა რუ – ს●თვლი უმაღლ ამეტყველდება წინადადებაში რუ სიბრძნის თაველი.

ეხლა ჯადოსნური სკიპტრა შევახოთ მის სახელს შოთა


ა – კითხვითი ნაწილაკია

ა – ყველა ხმოვნის ინფინიტივი და ამასთანავე შემეცნების ინფინიტივი

ის ბერთითის და საჩვენებელი თითის კონტურში მოხაზულა ვედრების ხელწყობილებაში სახულის კარედზე, რუსთაველის ფრესკაზე უზარმაზარი ა კი მოსასხამის ვარდნილობაშიც დაუკონტურებია ფრესკის მხატვარ-ფილოსოფოსს.

ჯადოსნური სკიპტრა შევახოთ გველს – ქართველი ქალის ვარცხნილობაში, ნაწნავში ჩარჩენილს და მისი ბგერნერტილობა მალი ხაზებით შევაერთოთ და მივიღებთ ა-ს.

ეს გველი ლაშარის გოზე ასულა ამიტომ „ელირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“



დანარჩენს მიჰყევით და თქვენ ამონმეთ ცხოვრების ცხოველურ რებაში გათანგულ-გაპრანჭულ – დაღლილობაში სულმოუბრუნებლო ქართველ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებო, რმო ჩვენი საქმე შევეუთანანყოთ ილიას ცხოვრების


მზის სხივს, რომელიც ამბობდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი საფიქრალი.

### ლექსის მერვე სტროფი

„და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული  
სახელისა უფლისაჲთა  
მდაბალი და დანუნებული, მოელის დღესა მას მეორედ  
მოსვლისა უფლისასა“.

გიხაროდეთ ჭეშმარიტად, რადგან, სიტყვა რუსთაველი-სა მოექცევა თავისუფალი საქართველოს, გულანშაროული „ბედნიერების“ მხედველობის სამკუთხედურ, მთვარის და მზის საათის კვადრატულობის სიზუსტის ქართულ ოჯახში.


„ნუ აჩქარდებით, ნურც შიშობთ“, – გამოდით თქვენი ჭირიმე. აკაკის ხმით ახლა მე მოგიწოდებთ, ოღონდ თუ გინდათ, რომ არ შეგეშინდეთ, დაწერეთ სიტყვა ვარდი იაკობ გოგებაშვილის ევროპულ ფანჯარაში (33-ე დედა ენის გამოცემა მე-5 გვერდი) ასე



ვ-უ-ს მუცელში იჯდა და დაბადების პროცესი ქართულ-მა ენამ ასახა უ-უ (უმლაუტი) ვ – ვ.




შემდეგ ვ გადავიყვანოთ სამკუთხედში თავის ადგილზე ტოლფერდა სამკუთხედში.



ახლა სიზუსტით მივხვდებით რატომ დაარქვეს რუსთაველმა თავის ნაწარმოებს „ვეფხისტყაოსანი“ და არა „ვეფხვისტყაოსანი“.

აკაკის მემკვიდრეები „ვეფხისტყაოსნის“ რაინდები მაშინ გახდებიან, როდესაც იპოვნიან „ვ“-სთვის ბოძებულ ადგილს ტოლფერდა სამკუთხედში. პოეტის იმედი უნდა გამართლდეს, „გმირს წინაუძღვის ყოველთვის უძღური წინამორბედი“. ვეფხისტყაოსნობა“ რაინდობაა კატობაში. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდობა კი, ნამდვილი ვეფხვობაა. 1915 წლის ზუსტად პირველ საათზე გარდაიცვალა აკაკი, მან სიკვდილითაც კი მოუნიშნა დრო არეული ცნობიერების საათზე ახალგაზრდობას.

გილოცავთ ამ სამყაროში სუნთქვის სულიერ ბედნიერებას, რომელიც ქართული სახელმწიფოს სხეულს – ლარს გააძლიერებს, ხალხს კი რწმენაში შეიყვანს ამ სიტყვის ბგერწერტილობაში ტოლფერდა სამკუთხედის გულის მხარეს შემოხაზული სამკუთხედი.



"Պայծառիք" լիարդ լինել, միևնույն ժամանակ  
և միակողմանի զբաղվել, նոր հոն անշուշտ  
և քայլեր

Վերադառնալու անհրաժեշտ  
էջերը մեր համայնքում  
և քայլեր

"Յոթերորդ կողմը, հաս  
միջակայքում շարունակել"

Երևանում ընդունված  
հարցերի և խնդիրների  
հիման վերադառնալու  
և քայլեր

Երևանում ընդունված  
հարցերի և խնդիրների  
հիման վերադառնալու  
և քայլեր

Երևանում ընդունված  
հարցերի և խնդիրների  
հիման վերադառնալու  
և քայլեր

Երևանում ընդունված  
հարցերի և խնդիրների  
հիման վերադառնալու  
և քայլեր

Երևանում ընդունված  
հարցերի և խնդիրների  
հիման վերադառնալու  
և քայլեր

## მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავსან ვითამცა ჰკადრა მტერობა

ეს ტაეპი სრულყოფილად რომ შევიმცენოთ, აუცილებელია გავიაზროთ: როგორი გამოსახულებისაა მცხრალი მთვარე. დამცხრალი მთვარე, როდესაც მისი დისკო სრულადაა განათებული მაშინაა მშვიდი.

მთვარის სიმშვიდე გენიალურად აქვს აღწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილს ლექსში „შემოღამება მთანმინდაზე“

„გინახავთ სული ჯერეთ უმანკო,  
მხურვალე ლოცვით მოქანცებული?  
მას ჰგავდა მთვარე ნაზად მოარე,  
დისკო – გადახრით შუქმიბინდული“.

ადვილი წარმოსადგენი არაა ილია ჭავჭავაძის გაოცებული სახე, როცა ამ ტაეპებს ნაიკითხავდა ეკატერგინე ჭავჭავაძის მიერ გადაცემულ ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერ რვეულში. ჯერ წერილი აფრინა თბილისში, გამიგეთ ვინ არის ეს კაციო, მერე პეტერბურგიდან ჩამოსულმა მიანგონო მის დას – სოფიოს.

„დისკო გადახრით შუქმიბინდული“.  
რას უნდა გადაეხარა მთვარის დისკო?

მთვარის დისკო უნდა გადაეხარა სავსე მთვარეში ჩახაზულ სამკუთხედში განთავსებულ ვარსკვლავს, რომლის მარჯვენა კუთხე მთვარის საათზე პოულობდა 7 საათს.

ილიას პეტერბურგშივე ჰქონდა შემუშავებული მთელი სამოქმედო პროგრამა, რომელსაც კარნახობდა „მყინვარზე მდგარი მოხუცებული“ – რუსთაველი.

ილიას პროგრამით მყინვარი და თერგი, დღე და ღამე უნდა დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის, რომ ქართველობას მთვარის საათზე — ცნობიერების საათზე სი-



სწორედ ამან გააოცა ილია, მაგრამ ჩვენთვის უკვე ცხადზე-ცხადია, თუ რატომ ვერ ჰკადრებს მცხრალი ვარსკვლავი მტერობას მთვარეს.

მცხრალი მთვარის დისკოს გარეშე კარგავს ვარსკვლავი იმის უნარს, რომ მიუთითოს ცნობიერების საათის გაჩერების წერტილი შვიდი საათი.

ცნობიერების 7 საათი შვიდი კითხვაზე სიზუსტით გაცემული 7 პასუხია. კითხვები, რომლებიც გადაივლიან ხელის თითებზე:

- ვინ? რა? – ბერთითი
- რომელი – საჩვენებელი თით
- როგორი – შუა თითი
- რანაირი – არა თითი
- რამდენი – ნეკა თითი

## **რა ეშველება გაჩერებულ საათს?**

- შემდეგ უნდა ამოანათოს ქართული ენის მზემ, შოთა რუსთაველმა, რომელიც სიტყვას, ბგერას დამარხული მდგომარეობიდან გამოიყვანს და ხედვის სივრცეში განათავსებს.

- შემდეგ გაიღვიძებს მძინარე ქართული და ლაზარესავეთ აღდგება.

- ლაზარე ოთხი დღის მკვდარი იყო.

ქართულიც ოთხი დღის მკვდარია, ოღონდ ენასთან მიმართებაში „ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“ ქართული „არათას ქვეყანაში დაბადებულა“, სადაც თითები მხოლოდ სიკეთეს ემსახურებოდნენ.

## წინასიტყვაობა

სანამ იაკობ გოგებაშვილის დედა ენის ცოდნის კარს შევალვდეთ, მანამდე შოთა რუსთაველის ცნობიერების სამყაროში შევსვათ მისი გონიერების უკვდავების წყალი.

### შოთა რუსთაველი

სულიერების პური ცხოვრების რუს თავში აზროვნებით თავთავდება, სადაც მარადიულად მიმდინარეობს რწყილი და ჭიანჭველას ისტორია, რომელიც ვერასოდეს დაიწყება ყველა სხვა ქართული ზღაპრის მსგავსად: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“. სწორედ აქ, ცხოვრების პატარა მდინარის სივრცეში, დათავთავდა „სიტყვა ქართული რუსთაველისა“.

**რუსთაველმა პირველმა წაიკითხა ქართული სიტყვა მხედრული გარშემონერილობით.**

**რუსთაველმა პირველმა შეიმეცნა ქართული ბგერა ფონოლოგიური ყლერადობით.**

რუსთაველი – ეს სიტყვა კლასიკური შინაარსის მატარებელი აზრია მისი, როგორც ხელოვანის დასახასიათებლად.

რუსთაველობა ხელობაა – „მე რუსთაველი ხელობითა“... ხელობა ხუთი თითის შინაარსობრივი გააზრებისა, ხუთ განზომილებაში, თითების ასეთი გააზრებისკენ ბერთითიდან ნეკა თითამდე მივყავართ:

1. კითხვით ნაცვალსახელებს: **ვინ-რა? რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი?**

2. ხმოვანთა ხუთეულს: **ა, ე, ი, ო, უ**

3. თანხმოვანთა სამეულებს: **ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; ძ, ც, წ; ჯ, ჩ, ჭ; გ, ქ, კ;**

4. ნარნარა ბგერათა ხუთეულს: **ვ, მ, ნ, რ, ლ**



## 5. სიტყვას ვარდი.

„ასი გამართებს გაგონება, არ გეყოფის არ ერთხელი“, - ასის გაგონება რომ შეძლო, ხუთი ხელია (668 სტრ.) საჭირო მარჯვენა და მრაცხენა დგომილებით, ამასთანავე, ორივე, მხედველობითი მხრიდან – ხელის ზედაპირიდან და ხელის გულიდან. ასეთი გააზრება ღრმა შინაარსს სძენს ასმათის სიტყვებს: „შენ ერთხელ იტყვი, <<მითხარო>>, მე ასჯერ გითხრობ <<ვერასა>> (240 სტრ.).

ერთი ხელის ნიჭიერებით მცხოვრები ადამიანი არასრულყოფილია, არასრულფასოვანია. მხოლოდ ერთი ხელის ქკუთ არსებობაში შესული ფენომენი ცხოველურად რებს, რომელსაც თავად ვერ გრძნობს, მაგრამ მჭევრმეტყველებითი არგუმენტაციით გატაცებულ გონებას და სახისმეტყველებას მისას სიზუსტით აფასებენ პიროვნებათა კრებულები.

ვის **ხელენიფება** ასეთი სახელით მოსიარულე ინდივიდს თავისი **ხელოვნებით** შეამეცნებინოს საკუთარი **გახელებულობა**?

საკუთარი თავის შემეცნების **ხელშემწყობად**, აზროვნების მოსახელკეთილებლად, ინდივიდს ევლინება მოწმეცნობიერული არსის, რუსთაველისა რომელიც სისპეტაკით ფლობს ხუთი თითის შინაარსობრივი გააზრების უნარს ხუთ განზომილებაში. „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ იმისთვის სჭირდება პოეზიას, რომ ლექსის სიბრძნემ შეაჩეროს გონების ცხოველურ რებაში ლოგიკით გატაცებულ-გახელებული ტანები და ჩვენი ენის ვირტუოზული შესაძლებლობებით კურთუკუღმა (კურტუკუღმა, ზურგმემობრუნებით, პირუკუღმა) დალოცოს ხუთი თითის შეგრძნებების უმეცრება-უგრძნობლობაში ხევგაღმა, იქითა ნაპირზე დარჩენილი რაობები, რაობები ვინაობამდე ვერ ამაღლებულები.

„**ვტ**-ის“ მთავარი გმირი – ავთანდილი ვინაობამდე ამაღ-

ლებული ადამიანია. მის ვინაობამდე ამაღლებულობას ხაზს უსვამს როსტევეანის წინაშე განაცხადი.

„გასრულდა ჩემი ანდერძი ჩემგან ნაწერი ხელითა აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითა!“

ავთანდილი როსტევეანის წინაშე აღიარებს, რომ მისი ანდერძი მხოლოდ საკუთარი, ერთი ხელის გადაწყვეტილებათა, გამზრდელთან მოშორება კი გახელებული გულის მისწრაფება. ავთანდილი ვაჟკაცია „მსგავსი მზისა და მთვარისა“, მის გულში ღმერთი სახლობს, ამიტომ მკითხველის გულის ხმიერობაც ავტორთან ერთად ბანს აძლევს ავთანდილის წადილს.

ავთანდილით აღფრთოვანებულ ქართველ კაცს უჩნდება მისწრაფება თავისი გულის სურვილით მოქმედებდეს. ავტორის განაცხადი: „მე რუსთველი ხელობითა...“ სწორედ ამ მიზნის მსახურებას გულისხმობს, რომელსაც შეუძლია ადამიანის გული ღმერთის სამყოფლო გახადოს.

რუსთაველის საყდარს ბევრი უარა საქართველომ, მაგრამ შესასვლელი ვერ უპოვნა, რადგან მისი კარები მხოლოდ გულანშაროული ცხოვრების ქსოვილიდან იმზირება. თანადროული საქართველო „ვტ-ში“ აღწერილი ვაჭართა ქალაქის – გულანშაროს სახე-ხატია. ეს რომ ასეა, ამის გაგებაში დაგეხმარებათ იაკობ გოგებაშვილის დედა ენა, რომელიც მალლა ფოთლებში მოელვარე „ვტ-ის“ ცნობიერების ვაშლს შეგაჭმევს და მისით დატკობობის მსურველი ბიჭი შაქარას ოცნებას აგასრულებინებს.

# იაკობ გოგებაშვილის დედა ენის საიდუმლო

**კვერცხი** – „ვეფხისტყაოსნური საიდუმლო“  
**კვერცხი** – იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ საიდუმლო

რუსთაველის ფრესკაზე „ვეფხისტყაოსნის“ განსახიერების საიდუმლო ესთეტიკური ფენომენია კვერცხი, რომელიც განთავსებულია მოსასხამის მარჯვენა კალთაზე.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ სიტყვა კვერცხი ასო-ბგერების შესწავლისას არსად ფიგურირებს. ეს ფაქტი ღრმად გასააზრებელ აქცენტად უნდა მივიღოთ ავტორის მხრიდან.

ც ბგერას იაკობ გოგებაშვილი მერცხლის საგნობრიულობით აცნობს „დედა ენის“ 33-ე გამოცემაში (1912 წ.). ამ გაკვეთილში შეუძლია ავტორს საკითხავი სიტყვების ჩამონათვალში შეიტანოს სიტყვა კვერცხი, მაგრამ ის არსად ჩანს: ქოცო, ცერცვი, საცერი, ვერცხლი, მცხეთა, ცხელი, ცივ-ცივი, ცოცხალი, ციმციმი. დღესავით ნათელია, რომ ქართველის მკვირცხლ გონებას გადაუმალა საიდუმლო, მაგრამ, სამაგიეროდ, ქ ბგერის შესწავლი-





სას საგნობრიულ მხედველობაში შემოიყვანა ქათამი.

1879 წლის „დედა ენაში“ (გვ. 49) ქათამი ბავშვთან ნაცნობობაში მოჰყავს პატარა მოთხრობით „ბებერი და ქათამი“, რომლის შემდეგ მკითხველს სთავაზობს გამოცანებს არა ქათამზე, არამედ კვერცხზე. აი ეს გამოცანებიც:

1. უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი, შვილსა შობს დედა მოკვდება, ვინ არის გამომცნობელი?

2. ერთი პატარა საყდარია, რამდენიც უნდა უარო, კარებს ვერ უპოვნი.

3. ერთი პატარა საყდარია, ის რომ დაინგრეს, მთელი ქვეყანა ველარ ააშენებს.

რა არის კვერცხი?

კვერცხი არის სითეთრე-სისპეტაკის ნაჭუჭი შიგთავსით, რომელშიც სიცოცხლე სანყისში ბუდობს. იაკობ გოგებაშვილი ბავშვებს კვერცხს აცნობს საგანძურში თავისი მონათხრობით „ქათმის საიდუმლოებანი“ (გვ. 54).

პასუხი სამივე გამოცანისა „ედა ენის“ ბოლო გვერდზე 1876 წლის გამოცემაში დაუსახელა იაკობ გოგებაშვილმა, ოლონდ ზოგადობით, უზუსტობაში. ამ უზუსტობაში დღემდე ვერ გარკვეულა ქართველობა, მაგრამ ხვდება, რომ ქათმის კვერცხი წარმოსახვითი საგნობრიულობისათვის სჭირდება გამოცანის პასუხებს. სწორედ ამიტომ პასუხებს ბავშობაშივე იზეპირებს და სიკვდილამდე ახსოვს. სიზუსტით გაცემული პასუხები კი შემდეგია:

1. „უსულო ვნახე ორსული სულიერი მშობელი, შვილსა შობს დედა მოკვდება ვინ არის გამომცნობელი“?

კვერცხი – დდამინა

2. „ერთი პატარა საყდარია, რამდენიც უნდა უარო, კარებს ვერ უპოვნი“.

კვერცხი – „ვეფხისტყაოსანი“

3. „ერთი პატარა საყდარია, ის რომ დაინგრეს, მთელი ქვეყანა ველარ ააშენებს“

კვერცხში ჩახაზული ჯვარი

**პირველ გამოცანაში** გადმოცემულია სამი აზრი სამ წინადადებაში. უსულო ვნახე ორსული – წინადადებაში ასახული მოქმედება ანმყოფი პროცესია, რომლის თანამედროვე გამოცანის მსმენელიცაა. მეორე აზრი, მეორე წინადადებაშია წარმოდგენილი: „შვილსა შობს დედა მოკვდება“ – ეს მომავალში მოსახდენი ფაქტია, რომელიც გამოცანის ავტორს არ უნახავს, მაგრამ სიზუსტით იცის და მსმენელს უფლებას არ აძლევს მომავალში მოსახდენ ფაქტში რაიმე ეჭვი შეიტანოს. მესამე ნაწილი გამოცანისა: ვინ არის გამომცნობელი?

ადრესატი ამ კითხვითი წინადადებისა შეუძლებელია იყოს ავტორის თანამედროვე. გამომცნობელი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის ვინაობა, რომელიც გამოცანის პირველ, მეორე, მესამე აზრს ანმყოფურ, დადასტურებულ სივრცეში წარსულობით დაინახავს და შეაფასებს.

**მეორე გამოცანა:** ერთი პატარა საყდარია, რამდენიც უნდა უარო კარებს ვერ უპოვნი. საყდარი „ვეფხისტყაოსნისა“ ი. გოგებაშვილის თანადროული საქართველოსთვის უკარებოა, რადგან ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის რეალური ცხოვრების ფანჯრიდან ცხვარაზმშა-ხატაეთის თარგით იკერება სახელმწიფოებრივი კაბა. საყდარი „ვტის“ კარის მპოვნელი მომავლის ქართველია. ქართველი, რომელიც თავის ფანჯრიდან ამოიცნობს, რომ ის გულანშაროში ცხოვრობს.



## გულანშარო

გულანშარო – ამ სიტყვის შინაარსის კომპოზიტორი რუსთაველია. ეს სიტყვა მხედრულ გარშემონერილობაში და ფონოლოგიურ მგრძნობელობაში აზრებით მოცეკვავე ფენომენია. გულში ნარ-ეკალი გარჭობიათ სხვადასხვა შარებში გახლართულ-გაბლანდულებს, ფატმანობაში, ჭამ-ნაგრობაში, უსენობაში, უსამობაში წარმატებულობით დამარცხებულებს, მაგრამ მაინც შარისა და შურის შარი-შურობით მოსიარულეებს.

**მესამე გამოცანა:** ერთი პატარა საყდარია, ის რომ დაინგრეს, მთელი ქვეყანა ველარ ააშენებს.

ხვარაზმშა-ხატაეთიდან გულანშარომდე გზა ათეიზმის ჭაობში უნდა დაიკარგოს, გადარჩენა ჯვარს შეუძლია. ლუს-კუმა ჯვრისა ტოლფერდა სამკუთხედში თავსდება.


ტოლფერდა სამკუთხედი დედამინას განასახიერებს ნახევარსიზუსტული მინიშნებით. რუსთაველის ფრესკაზე მოსასხამის მარჯვენა კალთაზე ორი წვრილი კონტური წარმოსახვითი გაგრძელებით რუსთაველის ქუდს ჩამოჭრის ახალი მთვარის ფორმის ფიგურულ ნაწილს, რომელიც წააგავს შოთ პურს. თუ ამ გამოსახულებას ზომით შესაბამისობაში მოვიყვანთ ტოლფერდა სამკუთხედის გვერდებთან, სამკუთხედი ელიფსში განთავსდება.

### დედა ენის მხსუთე გვირდი – მისი სივრცული არქიტექტონიკა



ახლა მზერა გადავიტანოთ „დედა ენის“ 33-ე გამოცემის მე-5 გვერდზე.

შემთხვევითობად არ მივიჩნით, რომ გვერდი დანომრილი არ არის. მრავლისმეტყველი საიდუმლო უდევს საფუძვლად წიგნში გვერდების სივრცულ განაწილებას.

ა ნ ბ კ ე ი უ





აბ  
 ი ბ  
 ია ბი  
 ბი ია

თითი  
 თი თი  
 თ ი თ ი  
 თ

ა-თი. თი-თბ. თბ-თი. თი-თი.  
 ბი ია. ბი თითი.  
 ბი თბთი. ბი თითბ.  
 ბთი ია. ბთი თბთი.  
 ბთი თითი.

სათი  
 ს ა თი  
 ს ა ა თ ი  
 ს  
 ის. ი-სა. ა-სი. სი-ა.

\* ადგილობრივი სიტყვები განმარტებულია 30 გვერდზე.

სიტყვა ანბანის შემდეგ ვარსკვლავი და ახალი მთვარის ფორმის გამოსახულება გამოყენებულია მინიშნებისთვის, რომ ადგილობრივი სიტყვები განმარტებულია 30-ე გვერდზე.

ეს ნიშნები „ვეფხისტყაოსნური“ სიმბოლიკაა ამოღებული შემდეგი ტაეპიდან: „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!“ (38 სტრ.) გვერდი დაკვალულია ტოლფერდა სამკუთხედიდან ამოღებული

ბისექტრისით და ფუძით (ტოლფერდა სამკუთხედი წვეტით დაბლა).

მე-5 გვერდზე მთელი სივრცული მოცულობით ილანდება კვერცხი-ელიფსი დედამინა — თვითგამორკვევის ყველაზე ზოგადი ფენომენი. ხედვის კვერცხ-ელიფსურ გარშემონერილობაში ადამიანი შეჰყავს ერთადერთ გეომეტრიულ წერტილს. ეს წერტილი გახლავთ ბისექტრისის ფუძესთან შეერთების ნიშნული, რადგან სიტყვიდან „ანბანი“ მეორეობით მდგარი ა მოახვედრა ასეთი ადგილმდებარეობითი განწერილობით.

ტოლფერდა სამკუთხედი ახალი მთვარის ნაწილებით შემოსილი, მოძრაობაში მოდის და კვერცხ-ელიფსური ნახაზი წვეტით მალლა დგება წარმოსახვით შესაძლებლობებში. აი ასე, ერთმანეთს ტოვებენ და ერთმანეთში აგრძელებს სიცოცხლეს სამკუთხედი და კვერცხ-ელიფსი ერთი გვერდის სტატიკურ სივრცეში.

მაშასადამე, შემეცნების ა სამკუთხედის და კვერცხ-ელიფსის წვეტებში სახილველ-უხილველობაში ორი წერტილის ზედა-ქვედა ნიშნულით წარდგება ფრიად დაკვირვებული თვალის წინ.

**მე-5 გვერდზე განთავსებული გაკვეთილები**  
**აი ია, აი თითი, საათი**

სიტყვები და ბგერები სივრცეში ისეა განწერილი, რომ თუ მათ შორის მალ ხაზს გავავლებთ ჩაიხატება კვერცხი ვიწროდ მომრგვალებული თავით მალლა, ამკარაა სახელი მალხაზი ლექსში „ბიჭო ვისი ხარ მალხაზი“ ჭემ-მარიტად მოტივაციურია.



ია

ი ა

ია აი

აი ია

იის სურათში გაცხადებულია „ვეფხისტყაოსნური“ საიდუმლო. ხუთი ია — სამი იშვიათური სრულყოფილებით გაშლილი (იშვიათი იმიტომ, რომ მთელი დღე რომ იარო ტყეში ხუთფურცლიანი, შეიძლება ძიებისას ერთი ან ორი შეგხვდეს), ერთი გასაშლელად შემზადებული, უფრო თავდახრილი და ერთი სრულიად დახურული.

ხუთი ია სიმბოლური სახეა „ვტ-ში“ გაცნობილი სახელმწიფოებისა.

- გაშლილი იები: 1. არაბეთი  
 2. ინდოეთი  
 3. მულღაზანზარი

- გასაშლელად შემზადებული: 4. ხვარაზმმა, ხატაეთი  
 სრულიად გაუშლელი: 5. გულანშარო

სურათი კლასიკური სიმეტრიულობით თავსდება ტოლფერდა სამკუთხედში. ბისექტრისის დატვირთულობის ხაზი არის იმ იის ღერო, რომელიც სიმბოლურად ინდოეთს განასახიერებს. გაშლილებში ყველაზე მოკლე ღერო მულღაზანზარის იას აქვს.

## იის ღეროები და ფოთლები

იის ღეროები მარჯვენა ნაწილისა არ ეხლართება მარცხენა ნაწილის სივრცეში დახატულ ღეროებს. ხლართვაში ერთმანეთთან არიან მარჯვენურობით და მარცხენურობით განლაგებაში მდგარნი. დასააქცენტირებელია სურათზე ასახული ერთი მომენტიც: ერთადერთი ხაზი, რომელიც ამ სიმეტრიას არღვევს, არის მარცხენა ფოთლის ღერო, რომელიც ამოსვლას იწყებს მარჯვენა ნაწილიდან. აშკარაა, რომ ფოთლები, ისევე როგორც იები, სიმბოლური დატვირთვის საგნობრიული სახეები არიან. ფოთოლი სურათზე წარსულისა და მომავლის განზომილებით დასანახი ფენომენია, რომელიც ხუთი ნაირსახეობრივი გრადაციით წარდგინებულ იებს ანმყოური ხედვის სინედლეში აწყებინებენ სუნთქვას რუსთაველისეულ წინასწარმეტყველებას.

სახელმწიფოებრივად შემდგარი ვინაობა და რაობა – არაბეთი

1. ვინ, რა — არაბეთი
2. რომელი – ინდოეთი
3. როგორი – მულღაზანზარი
4. რანაირი – ხატაეთი, ხვარაზმმა
5. რამდენი – გულანშარო

„ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა“ (1074 სტრ.)

გულანშაროს დასახასიათებლად „სამეფო თვისა ათისა

სავლითა“... გარკვეულობით პასუხობს კითხვას რამდენი.

სურათის მარჯვენა ნაწილში ჩახატული ია ხუთფურცლოვნებით გაშლილი რუსთაველია და მისი თვალით დანახული საქართველო არაბეთის გამომეტყველებით. გასაშლელად შემზადებული ია კი ილიაა და მისი თვალით დანახული თანადროული საქართველო ხვარაზმშა-ხატაეთის გამომეტყველებით.

მარცხენა ნაწილში ჩახატული იები: ინდოეთი, მულლა-ზანზარი, გულანშარო – საქართველოს შემდგომი დაღმავალი წარუმატებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების წინასწარმეტყველებაა საგნობრიულობით წამომართული.

## სურათის სახელდება სიტყვით ია

სურათი დასათაურებულია სიტყვით – ია. ნახატზე კი ია ხატია რაოდენობით ხუთი. მაშ რა ხდება? სურათი შეცდომითაა დასათაურებული? არა, ია საზოგადოდ არის მოწმე ცნობიერული არსი ქართველობისა, რომელიც აკვანთან იავნანაში ირწეოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, სანამ რუსთაველი გაჩნდებოდა.

სურათი აი ია კერძობით-კონკრეტულობაში წარმოდგენილი რუსთაველურ-„ვეფხისტყაოსნური“ ქართული ცნობიერების სურათია ერთ ნაწარმოებში სახელდება და წინასწარმეტყველებითი აღსრულების გზაზე მდგარი, იაკობ გოგებაშვილის თანამედროვეობაში ბოლომდე ჯერ კიდევ არ აღსრულებული.

ცნობიერება ერთია,  
ერთი ღმერთია,  
ღმერთი გულშია,  
გული რუსთაველია,  
რუსთაველი ერთი „ვეფხისტყაოსანია“!

„აი ია“ ერთი ვეფხისტყაოსნური ცნობიერებაა, ამიტომ დაასათაურა იები მხოლოდით რიცხვში საგნობრიულად ხუთი.

\* \* \*

იაკობ გოგებაშვილმა ბუნებრიულობით ხუთად გამოსახული თითების ერთიანობა დაარღვია და თ-ს შესწავლისას საგნობრიული სახე გამხოლოებული ერთი თითით წარმოგვიდგინა. თავისთავად ერთი თითის თითქოს მოჭრილი გამოსახულება გარკვეულწილად უსიამოვნო განცდით სახილველია, მაგრამ დასურათხატების ამ გზაზე გავლას ავალებდა ორი გარემოება: 1. საგნობრიული გამოსახულება და მის ქვეშ მინერილი სიტყვა რიცხვით შესაბამისობაში მოეყვანა. 2. ხუთი თითიდან ყურადღების პირველობაში შემოეყვანა საჩვენებელი თითი. თითი სამსახსრიან თითთა შორის მოძრაობის დამოუკიდებლობით გამორჩეული.

## საჩვენებელი თითი

საჩვენებელი თითი ეროვნული თვითგამორკვევის ფენომენია. ფენომენი, რომელმაც დედამიწის კვერცხ-ელიფსში ტოლფერდა სამკუთხედი ჩახატა და სამკუთხედში – ქრისტიანული ჯვარი. მას დაესმის კითხვა რომელი? ეს არის სიტყვა, რომლითაც იხსნება „ვტ“, ოღონდ მოთხრობით ბრუნვაში ჩაყენებულობით. ბრუნვა, რომელიც სიტყვას ანიჭებს მ – საჩვენებელი, ა – ბერთითის და ნ – შუათითის ძლიერებას.

საჩვენებელი თითი მოზიდულ მშვილდზე პირველობით ასრულებს გონების გადანყვეტილებას – გაისროლოს ისარი.

## გაკვეთილი თითი

გაკვეთილი, რომელიც ანბანის შემსწავლელს აცნობს ასობგერა თ-ს, სიტყვით თითი, სიტყვა, სიტყვის დაშლილი მარცვალი და ბგერები სივრცეში ისეა განაწილებული, რომ თუ მათ შორის მალ ხაზს გავაგლებთ ჩაიხატება კვერცხი ვიწროდ მომრგვალებული თავით დაბლა.




თითი

თი თი

თ ი თ ი

თ

ათი თითი სხეულის ის ნაწილებია, რომელიც მოსაქმეობაში შეჰყავს გონებას. თ სახის სამკუთხედში თვალებს შორის ჯდება, იმ წერტილში, სადაც ცხვირის ძვლის მოხაზულობა იწყება. თ ბგერას თავისი შუალედური დგომილებით აქვს უნარი ერთნაირი სიახლოვით იყოს როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა მხარეებთან. ამ შესაძლებლობის გამო ქართულ ენას მისთვის მიუნიჭებია მრავლობითი რიცხვის ნიშნოვნება.



საინტერესოა თითი სამკუთხედურ ბგერწერტილობაში. შემეცნების ველს სიტყვა თითი ხაზავს მარცხენა მხარეს. ასე მნიშვნელოვანია და საინტერესოა შემეცნების ველში მოექცეს ბგერის დაბადების ადგილი სამკუთხედში.



## გაკვეთილი საათი

კითხვები, რომელსაც შეუძლია აზროვნება შეგრძნებების სუნთქვაში მოიყვანოს, ასეთი ფორმულაციით დგება: 1. რატომ შეარჩია ასო-ბგერა **ს**-ს გაცნობისას საგნობრიულ სახედ საათი?

საათი

ს ა თი

ს ა ა თ ი

ს

ი.ს. ი-სა. ა-სი. სი-ა.

2 იაკობ გოგებაშვილის საათის ციფერბლატზე დრო რომაული რიცხვებითაა აღნიშნული.

სიტყვაში საათი მხედრული გარშემონერილობის სიბრ-


ტყეში ექცევა ციფრი ათი. სინტაგმა, რითაც მთავრდება გაკვეთილი **თ**-ზე, არის ათი თითი. სიტყვათშეთანხმება ათი თითი გარკვეულწილად პედალირებაში აქცევს მხედრულ გარშემონერილობას ციფრისა ათი სიტყვაში **საათი**. ამასთანავე, ციფრი ათი პედალირებაში მოსული საათთან მიმართებაში გარკვეულწილად ბადებს კითხვას. ეს კითხვა მხოლოდ იმ ადამიანში შეიძლება დაიბადოს, რომელმაც გაიგო, რომ რუსთაველობა ხელობაა, ხელს მოსაქმეობისათვის ათი თითი ჭირდება...

აღსანიშნავია, რომ საათი სხვა ენიდან შემოსული სიტყვაა, ენობრივ მგრძნობელობას კი იგი დაუსაკუთრებია. დაუსაკუთრებია და თორმეტი და ათი იდუმალ ურთიერთთან პირისპირ დაუყენებია. ახლა პასუხი გვჭირდება კითხვაზე. რაში დასჭირდა ეს დაპირისპირება დაკვირვების ხაზზე ასეთ რიგითობაში მოექცია იაკობ გოგებაშვილს.

ამ კითხვაზე პასუხი სრულყოფილ-დამაჯერებელი არგუმენტაციებით მიძივით რომ ავაცვათ, საჭიროა ორი ფენომენალური არსი ერთმანეთის პირისპირ დავაყენოთ. ეს ორი არსია ბუნება-სამყარო და ადამიანი.



ბუნების სამყაროული საათი მარჯვნიდან მარცხნივ მიემართება და გაივლის თორმეტ ნიშნულს. ადამიანის შემეცნებითი საათი კი მოძრაობს საათის საწინააღმდეგ მიმართულებით. ეს დასტურდება იმით, რომ ხმოვანთა სამკუთხედში კითხვითი ნაცვალსახელის – ვინ? ბგერწერა მარცხნიდან მარჯვნივ იკვლევს გზას. ასევე მოძრაობენ ქალ-ვაჟნი ქართულ ცეკვებში.



ს-ს შესასწავლ გაკვეთილშიც კვერცხი ისახება ვინროდ მომრგვალებული თავით დაბლა.



საათზე ასახული დრო – პირველის ოცდახუთი წუთი მალე უნდა გახდეს, ესეც მინიშნებაა ფრიად მნიშვნელოვანზე.

საათი  
ს ა თ ი  
ს ა ა თ ი  
ს

„დედა ენაში“ საათის ციფერბლატზე IV, V, VI, VII, VIII ისეთი სივრცული განწერილობა აქვს, რომ ისინი ნაკითხვადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი დაიკავებს ციფრი მეთორმეტის პოზიციას. ამ წერტილიდან მზერაში მოეყვანა საკუთარი თვალი ვერავინ შეძლო ქართულ სინამდვილეში გალაკტიონის მეტმა.

ის. ი-სა. ა-სი. სი-ა.

გალაკტიონი იაკობის ნიჭიერებით ნომრავდა საათის ციფერბლატს. „ეხლა შეიძლება არის სამის მესამედი“... ფანჯრიდან კი მოჩანდა ხალხი დროის სხვა მანქანაზე აწყობილი, ამიტომ იმეორებდა ნერვიულად, „რომელი საათია, რომელი საათია“.

გალაკტიონის ფანჯარაში დაუმთავრებელი ღამე იმზირე-

ბა. მთვარეს, გალაკტიონის მესაიდუმლეს შეუძლია უ-სა და ი-ს შორის ახალი მთვარის ფორმის დამატებით ნახევარწრე აღადგინოს, იქ მთელი საქართველო აიყვანოს გონიერებით... მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებაა, ამიტომ ის საათის კვერცხში უნდა დარჩეს, იმ საათის კვერცხში, რომლითაც ხალხი მოძრაობს... თვითონ, თვითონ კი ცამეტ ტყვიასთან ერთად აგრძელებს სიცოცხლეს ჩანასახში, რადგან „კივის სადგურიდან ზარი მეცამეტე“. ასე ხდება გალაკტიონის არსი მთანმინდის – „გულ-დახურულთა“ კიდევ ერთი ახალი მეგობარი.

ახლა, ამ სიმართლეში თვალგახელილი მკითხველისათვის უკვე, ცხადია, რა საოცრად ძნელი იქნებოდა გალაკტიონისთვის ქურციკობის ნიჭიერებაში ადამიანური ცხოვრება. ცხოვრება მეფე პოეტისა ქართველობას ასწავლიდა საიდუმლოში არსებობის ტკივილიან ტკბობას. ასეთი ტკბობა ჰაერივით ჭირდებოდა ათეიზმის ჭაობში გზადაკარგულებს. ამიტომ შეუყვარდა საქართველოს გალაკტიონის მგრძნობელობით იისფერი თოვლი...

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის

ქალწულებივით ხიდიდან ფენა“

სიტყვა? ბგერა? როგორ დღეშია? დღეში კი არა ბნელშია... სიტყვა, ბგერა, შინაარსის ქალწულობით მოძრაობს მხოლოდ საკომუნიკაციო დანიშნულებით.

დედა ენის მე-5 გვერდი ოცდამეცამეტე გამოცემისა ფრიად ღრმად გასააზრებელი ფილოსოფიური ფენომენია თავისი სივრცული არქიტექტონიკით, საგნობრიული შინაარსმეტყველებითი თანხვდომით და უმთავრესი – შესასწავლი პირველი ოთხი ბგერის შერჩევით, რომელნიც შესანიშნავად ახერხებენ მოწმე ცნობიერულ განზომილებასთან – იასთან თანაობაში მოაქციოს სიბრძნე ქართული სიტყვითი ტყობინებისა.

## **როგორ დავსვათ სწორი კითხვები**

ია სურათში მოწმე-ცნობიერული სახეა, სიტყვიერ სახელ-  
დებაში კი საგნობრიული. მაშასადამე, რადგან სიტყვიდან  
ია სურათში წამოიღებოდა არა ერთი, ე. ი. იგი კრებითი  
სახეა და რადგან კრებითი სახეა კითხვა დაესმის ასეთი  
შერჩევით – ვინ? ვინ კითხვა საზოგადოდ მოძრავი განზო-  
მილებაა, რადგან ყოველი ხდომილების შემდეგ ვინაობითი  
მოცემულობა იცვლება და ხასიათობრივი ცვლილებები სახ-  
ეშიც ირეკლება. ბგერობრივი სახელდება ია კი უცვლელი  
საგნობრივი გამოსახულებაა გონებაში მხოლოდ ერთი იით  
წარმოდგენილი. ამიტომ მას დაესმის კითხვა რა?

**ე. ი. საგნობრიული სახე – კითხვა რა?**

**აჩრდილი საგნობრიული სახისა კრებითობითი სახილველი  
– კითხვა ვინ?**

გაკვეთილი – თითი, თავისთავად თხოულობს კითხვას  
რომელი? რადგან თითი ხუთი აქვს ადამიანს. სურათზე  
კიდევაც ხატია საჩვენებელი თითი, რადგან მესამე სახსრის  
შემდეგაც მიჰყვება გამოსახულებას პროფილური ჩრდილი.  
ე. ი. საჩვენებელი თითის საგნობრიული სახეს დაესმის ამ  
შემთხვევაში კითხვა და არა საზოგადოდ თითს.

გაკვეთილში საათი, ადამიანი შეამჩნევს, რომ 5 რომაუ-  
ლი ციფრი არასწორი დგომილებითაა განწერილი და უმაღ-  
ტურებზე გადაირბენს კითხვა როგორი?

პირველი სამი გაკვეთილი ბერთითის, საჩვენებელი თი-  
თის და შუა თითის არსობრივი ძლიერების მატარებელი  
შინაარსებია, შინაარსები რომლებმაც უნდა გაიაროს არა  
მხოლოდ გონებაში, არამედ გულშიც და წარმოიდგინეთ მხ-  
არზეც კი, რადგან პირფერის წერისას ჯერ მარჯვენა მხარს

ვეხებით, შემდეგ მარცხენას, რომლებიც დანომრილია ციფრებით 9 და 3. მარჯვენა მხრის ოცნება ყოფილა 9, ამიტომ გვიცინის ცხრათვალა მზე, ამიტომ ვეცნობით 9 ძმას ზღაპრებში, გვახარებს 9 წყაროს ხილვა, 9 მთისა და ცხრა ზღვის გადალახვა, მეცხრე ცაზე აფრენა. მარცხენა მხრის ოცნება კი ყოფილა ბერთითის, საჩვენებელი თითის და შუა თითის ღონიერებით, ღირსებით, სიდინჯით ცხოვრება-არსებობა. უთუოდ ამიტომ ღირსეული ადამიანები ერთმანეთს მარცხენა მხარზე ამბორით ხვდებოდნენ.

ს-ს შემდეგ შესასწავლ ბგერად იაკობ გოგებაშვილს შეურჩევია **ხ** და არც თუ შემთხვევით. არათითი ხომ ხვარაზმშა-ხატაეთია. საგნობრიულ სახედ **ხ**-ს შესწავლისას შეურჩევია თხა. არათითის კითხვის – რანაირი პირისპირ თხა დგება..

**გაკვეთილი „ხ“-ზე თხა**



თხა

თ            ხ            ა  
                  ხ

**როგორი თხა?** – როგორი და ისეთი, რომლის საგაკვეთილო სივრცეში იხატება ჯვარი, ოღონდ ჯვრის ჰორიზონტალური მკლავი უფრო დიდია, ვიდრე ვერტიკალური ხაზი.

მესამე გამოცანის პასუხი: ქრისტიანული ჯვარი კვერცხში ჩასახული ამ გაკვეთილში იდუმალებით არეკლა იაკობ გოგებაშვილმა. გაკვეთილი „თხა“ ფილოსოფიური მიმართულების

გამომხატველია, წინა სამ გაკვეთილთან თანაობამ თხას შეაძლებინა კვერცხი 90°-იან ბრუნში მოეყვანა და დანოლილ მდგომარეობაში გაეჩერებინა.

## მე-5 შესასწავლი ზგერა „ო“ – თოხი



მეხუთე ზგერა, რომელიც აირჩია იაკობ გოგებაშვილმა არის ასო-ზგერა **ო. ო** საათზე ციფრი ცხრის ადგილზე იზადება, ამიტომ ანბანში ცხრიანის ადგილმდებარეობითი იმპერატიულობით გამორჩეული წარმოთქმისას კი ტუჩებით წრის შემოხაზვით ზგერა წოდებითი ბრუნვის ნიშნად აქცია ქართულმა ენობრივმა მგრძნობელობამ. რამდენი? – ხუთი. შემეცნების ხუთეული **ო**-თი დაამთავრა.

თოხი

თო ხი

თ ო ხ ი

ო

### შესასწავლ ზგერათა პირველი ხუთეული

მაშასადამე, დედა ენის ოცდამეცამეტე, განსაკუთრებულ გამოცემაში თუ ერთმანეთის თანმიმდევრობით დაწვრთმე შესასწავლ 5 ასო-ზგერას მივიღებთ **ათსხო**. ეს ზგერები ერთად დაწერილი მხედრული გარშემონერილობით სუნთქვას ორ სიტყვაში იწყებენ და ვლებულობთ აზრს: **ათს ხო**, ერთს კი შევნიშნავ, ამას მიხვდება „ვტ-ის“ ის მკითხველი, რომლისთვისაც ფრაზა „მე რუსთველი ხელობითა“... თითების ფილოსოფიური ვიბრაციით შეიგრძნობს სიტყვას „ხელობითა“.

\*\*\*

იაკობ გოგებაშვილის დედა ენის ყველა გამოცემა სხვადასხვა მიდგომებით შესასწავლ-გასააზრებელი ფენომენია, რადგან სრულიად ფრაგმენტული დაკვირვებაც კი გვიჩვენებს ავტორის სურვილს: ხელი შეაშველოს „ვტ-ის“ ახლადფეხადგმულ მკითხველს. ამ მიზანს ემსახურება შინაარსში

ამეტყველებული ბუნების საგნობრიულობითი გაცნობა, პატარა მოთხრობები, მსუბუქი ლექსები თუ ასომთავრულობაში გატანილი ბგერები ფონოლოგიურ შვილობით კეთილ აზრებში წასაკითხი.

ასეთი მკითხველის გამოჩენამდე კი ქართველობა „ვეფხისტყაოსნით“ ისე უნდა დამტკბარიყო, როგორც ბიჭი შაქარა ტკბებოდა სისხლივით წითელი ვაშლის ყურებით, რომელსაც სიო აქეთ-იქით აქანებდა ნელ-ნელა. ზღაპარ კოკროჭინაზე გაზრდილ პატარა გოგო-ბიჭებს სკოლისკენ მიაცილებდა ახლობელთა ხმაში გამთბარი სიტყვები: „წითელი ვაშლი გაგორდა“... წითელი ვაშლის კვალს კი მიაყოლებდა ბავშვის სახელს, რომელიც თავისი ოჯახიდან უნდა გაჰყოლოდა შემეცნების ამ ბილიკს.

### სურათი დედა ენის გარეკანზე (33-ე გამოცემა)



დედა ენაში წარმოდგენილ ყველა სურათს საგნობრიული გამოსახულებით შეჰყავხარ თავის შინაარსში. ეს შინაარსები შემეცნებითი ბილიკებია, რომელიც მიემართება იაკობ გოგებაშვილის უკვე გარკვეული მიზნისკენ.

ავტორისეული მიზანი კი შემკრებლობითი ნიჭიერებით გაცხადებულია წიგნის გარეკანზე გამოტანილ სურათში.

სურათზე ვხედავთ ბიჭუნას, რომელიც დაჩოქილი, მარჯვენა ხელში ქუდმომარჯვებული ლამობს დაიჭიროს პეპელა, რომელიც იის ღეროზე ზის. ნახატში გადმოცემული მოძრაობა ისეთ გრადაციაშია შეჩერებული, რომ კინოკადრული სიზუსტით შეუძლია მგრძნობიარე თვალმა აღ-

ადგინოს მოძრაობა შეჩერებულ პოზამდე და შეჩერებული მდგომარეობის შემდეგ.

შეჩერებული მოძრაობის დასაწყისის სურათის მხილველი წარმოსახვაში ერთნაირად გააცოცხლებს; ბიჭუნამ დაინახა პეპელა, რომელსაც დაუნყო თვალ-ყურის დევნება. პეპელა დაჯდა იის ღეროზე, ისეთ ადგილზე, სადაც დაჩოქვა საშიში არ არის. იგი სუნთქვაშეკრული ჩუმად იხდის ქუდს, იმარჯვებს ხელში და ნელ-ნელა შეუმჩნევლად უახლოვდება დასაჭერად. ბიჭუნა ცდილობს იმ ზომამდე ახლო მიიტანოს ქუდიანი ხელი, რომ პეპელამ ველარ მოასწროს გაფრენა.

შეჩერებული მომენტი ორი დასასრულით შეიძლება წარმოიდგინოს სურათის გონებითმა მხილველმა. I – ბიჭუნა დაიჭერს ქუდით პეპელას და II ბიჭუნა ვერ მოიხელთებს პეპელას ქუდში, გაუფრინდება და მისი სიმძიმისაგან გადახრილი იის ღეროც მიწაზე გაერთხმება.

## სურათის სიმბოლიკური პასაჟები

1. ადგილი, სადაც ბიჭია დაჩოქილი, ბალახი დანოლილია, მის უკან კი ხშირი ლაქაშა ბალახი ფეხზე წამომართულა.

მინიშნება

დაჩოქილი ბიჭუნა შემეცნების ველშია.

2. ვაჟის შუბლზე თმა სიშავით ხაზავს შუბლზე ასობგერას ო

მინიშნება

შემეცნების სწორ გზაზე დგას ბიჭუნა

3. სახის მარცხენა მხარე – სრულყოფილებით ჩანს მარცხენა თვალი, საფეთქელი, ყური.

მინიშნება

მარცხენა გულის მხარეა, გული ინახავს რწმენას. ამიტომ დაჩრდილულია ქუდის მარჯვენა ნაწილი, მარჯვენა მხარი,

სამოსის მარჯვენა ნაწილი საყელოსი.

4. ბიჭუნას სამოსი ჩოხის სილუეტური ნახაზია, მხოლოდ საყელოა ჩოხისთვის არადამახასიათებელი. საყელო ახალი მთვარის მოყვანილობისაა. მართალია, მარჯვენა ნაწილი დაჩრდილულია, მაგრამ მკერდზე იხატება შავი სამკუთხედი.

მინიშნება:

სამკუთხედში განიწერება ანბანი

5. მარჯვენა ხელის მხოლოდ ორი თითი უჩანს, საჩვენებელი თითი მიჰყვება ქუდის თავს, რომელიც ხაზავს მას. საზოგადოდ ქუდს ზარის ფორმა აქვს.

მინიშნება:

თუ ქუდით პეპელა დაიჭირა, ეს ქუდი ახალი ცნობიერების ზარს დარეკავს.

6. ია ოთხფურცლიანია. ოთხფურცლიანია ია უჯრედებიან სივრცეში ჩახატული დედა ენის მე-4 გვერდზე.

მინიშნება:

ადამიანი შეიძლება მოესწროს შვილს, შვილიშვილს, შვილთაშვილს. მაშასადამე, ის ოთხი თაობის შემსწრეა და შემმეცნებელი.

7. იის ღერო ამოსულია ფოთლების ისეთი განხატულობიდან, რომელიც სახავს ფოთლით განედლებულ ჯვარს ოდნაობით ირიბი დგომილებით.

მინიშნება:

განედლებული ჯვრიდან ამოზრდილი ია ქრისტიანობისთვის მოწმე-ცნობიერულია.

8. პეპელა აკეცილი ერთი ფრთითაა სახილველი. მაშასადამე, რადგან ფრთები აკეცილია მის ნახატს ვაჟი ვერ ხედავს.

მინიშნება:


პეპელა სიტყვის განსახიერების ესთეტიკური ფენომენია.



ასო-ბგერა ჰ-ს იაკობ გოგებაშვილი აცნობს პეპელას საგნობრიულობით.

### კაცზედ მაღალი, ღორზედ დაბალი

პეპელას განსატულობა სწორედაც საინტერესო სახილველია. პეპელას ფრთების ზედა დიდი და ქვედა პატარა ნაწილები დამშვენებულია ოთხ-ოთხი შავი კოპლით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანისთვის ხელმისაწვდომია ცნობიერების ამ სივრცეში შესვლა. მოკლედ რომ ვთქვათ, სიტყვები თავისი ბგერობრივი მგრძნობელობით



ჰ ე ჰ ე ლ ა  
ჰ ე ჰ ე ლ ა  
ჰ ე ჰ ე ლ ა  
ჰ

ქუდში შეგვიძლია მოვაქციოთ და ისეთ ცოდნად ვაქციოთ, რომ თავისი ძლიერებით ზარად გადაიქცეს. ზარის მოხაზულობის ქუდი ზარის შინაარსს ვერ შეიძენს, რადგან ქუდის გამოცანაა გასათვალისწინებელი, რომელიც ი. გოგებაშვილს შეუქმნია: „კაცზედ მაღალი, ღორზედ დაბალი“ (1876 წლის გამოცემა, დედა ენა, გვ. 30).

იაკობ გოგებაშვილს ღრმად სწამს, რომ მომავლის ქართველი აუცილებლობით დაიბადება. რწმენა ამისა დაღვრილია დედა ენის ყველა გამოცემაში, ყოველ გვერდზე, ყოველ აბზაცში, ყოველ სურათში; მაგრამ ეჭვის ჭია სმარტალებს გამოცანაში ქუდზე. შეძლებს კი კაცი თავისზე მაღლა ქუდი დააყენოს? ქუდში სიმბოლურად მოიაზრება ცოდნა. ე. ი. თავისზე მაღლა ცოდნა დააყენოს. ქუდი მეორე განზომილებით ღორზე დაბალია, იგი ცოდნა მინაზე ღორების საჯიჯგნად აგდია.

კაცობისა და ღორობის სურვილი შემოუსვია ქუდის

გამოცანის ავტორს სასწორის ორივე პინაზე და არც თუ შემთხვევით. მოკლეთ, საჩვენებელი თითი სალოკავად არ უნდა იხმარონ იაკობ გოგებაშვილის დედა ენაზე გაზრდილებმა, თორემ ილიას შემოქმედებით სარკეში მოდელირებული ლუარსაბ-დარეჯანის ამოცნობაში ქართველობას ხელს ვერ შეუშლის მათი ევროპული განკვერტილობა, დასუფთავებული სასახლეები, მსოფლიო ჩემპიონობის მედლები, მინისტრობის სავარძელი, პრესტიჟულ უნივერსიტეტებში აღებული ლიცენზია-დიპლომები, რადგან მათი სითეთრესისპეტაკის ნაჭუჭში შიგთავსი ჩანასახისა ცარიელია.

ასეა, ბატონებო, როცა სითეთრე-სისპეტაკის ნაჭუჭი ცარიელია კაცი ქუდს ვერ იხურავს. ერთი ქუდიანი **კაცი კარია ცოდნისა**. ეს უხაროდა აკაკის და მის საქართველოს, როცა პოეტის ლექსი ამღერდა – „კაცი ვარ და ქუდი მხურავს ქედს არ ვუხრი არავის“. ღორს არასოდეს ხურავს ქუდი იმიტომ, რომ მასზე დაბალია.

ახლა მოდით ასე დავსვათ კითხვა: რატომ განათავსა გამოცანის ავტორმა ქუდი ღორზე დაბლა ისეთ შრეში, რომ იგი ჯერ კიდევ არ ეხება მიწას?

გონებას აზროვნებით ბურუსში გახვეულს, ნიშადურის სპირტივით ქართული სიტყვა გამოაფხიზლებს ოღონდ ჯერ იმას უნდა მივხვდეთ ვინაა ქუდზე მაღალი? ისევ კაცი? კაცს ხურავს ქუდი? ვინ შეიძლება იყოს კაცზე მაღალი?

კაცზე მაღალი ღმერთია. (გამოცანის I ნაწილში ირიბად, დიპლომატიურად დაგვისახელა გამოცანის მეორე ნაწილის მინიშნება). ვინ შეიძლება იყოს ღორზე დაბალი? ეს რომ გავიაზროთ, აუცილებელია დავუკვირდეთ სიტყვის შემადგენელ ბგერებს, მივაქციოთ ფონოლოგიური ყურადღება, მივაქციოთ ვისთან მეზობლობაში ცხოვრობს მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა ღმერთი. ღმერთი იგი – როცა ღ-სთან მზის სხივი მყოფობს იგი ერთია და ერთი ღმერთია. როცა

ლ-სთან მ ბგერის სხივი გამქრალია მაშინ, იგი ორია ე. ი. ღორია.

ახლა ასე დავსვათ კითხვა, ვინ არის ეს ორი? ერთი – ღმერთია: „ჰე ღმერთო ერთო“... ორი კი თხა და მგელია. მსმენელი ამ პასუხისა იქნებ გაოგნდეს, საიდან მოიტანე თხა და მგელიო. გაოგნებულებს საბუთად წარმოვუდგინოთ პირველი საკითხავი წიგნი შემდეგ ანბანისა – სიმღერა (1872 წ. დედა-ენა).

ია ვნახოთ **ვენახი**, რამ შეჭამა ვენახი  
მიველ ვნახე ვენახი, თხამ შეჭამა ვენახი

1. თხა

2. მგელმა შეჭამა

მგელი

3. თოფმა შეჭამა

თოფი

4. ჟანგმა შეჭამა

ჟანგი

5. მინამ შეჭამა

მინა

6. თაგვმა შეჭამა

თაგვი

7. კატამ შეჭამა

ვენახი ქართული ცნობიერების კულტუროლოგიურ-ფილოსოფიური პლასტია, რომელიც ვილაცას შეუჭამია. ცნობიერების შეჭმა შეუძლია ვინაობას, ამიტომ წესით უნდა იყოს კითხვა ვინ, მაგრამ რადგანაც საიდუმლოში უნდა რომ გვაცხოვროს დიდმა იაკობმა, ამიტომ სვამს კითხვას ასეთი ფორმულაციით: „რამ შეჭამა ვენახი“.

ახლა ფრიად უპრიანი იქნება კითხვები დავუსვათ თან-მიმდევრული რიგითობით ვენახის შემჭმელ დამნაშავეებს.

1. თხა – ვინ?

2. მგელი – რა?
3. თოფი – რომელი? რომელსაც მამულიშვილებს ესვრიან
4. ჟანგი – როგორი? რკინეულობის გამფუჭებელი
5. მინა – რანაირი? უპატრონო
6. თაგვი – რამდენი? რამდენი და ხუთი: ფიცხელა, ცელქა, ცქმუნა, კუდა, ფხორა
7. კატა — სადაური? „და შენც ტარიელს მოჰგვეხარ, ისე ვით კატა ლომსაო“.

აკაკიმ დაიჩემა ტარიელი იმერელიაო.

1876 წლის დედა ენაში მთავრდება ასო-ბგერების შესწავლა და შემდეგ წარმოდგენილია ორი სურათი: 1. – ვაჟი ლოცულობს 2. ჩიტი ტოტზე ჰკიდია.



ჩიტი ტოტზე ჰკიდია – ხის ფრაგმენტულ განხატულობაში სრულიად პატარა ცდომილებას თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იკითხება ტოლფერდა სამკუთხედი და ბისექსტრისა. სურათის გვერდზე ხატია კიდევ მიმსგავსებული ტოტები, ოღონდ იქ ჩიტი აღარაა მაშასადამე, გაფრინდა. ჩიტი, რასაკვირველია, ბგერის სიმბოლოა.

1876 წლის დედაენის პირველი გამოცემის  
მოკლე ანალიტიკური შეფასება –  
სურათმეტყველებაში

**სურათი ია 2**

ის ფურცლები ძნელად დასათვლელი რაოდენობით 2. ფოთოლი სამი ხატია. ერთი ფოთოლი იაზე მაღალია.




**სურათი ხე** ხე ნაქცევაზეა, ხის ქვეშ წყალია. წყალი სიმბოლიკაა მშობლიური ენისა. სურათი ტოლფერდა სამკუთხედში თავსდება ხესთან მიმართებაში, წყალი კი მის გარეთ რჩება.

**სურათი სახე** ყოველივე გაცხადებულია ოვალურ სახეში. თმა სიბრძნის „ვეფხისტყაოსნური“ მეტაფორა მარჯვენა მხარესაა გაყოფილი“



**სურათი მახე** სათაგურში სატყუარა დევს.



1908 წელს აქ ვაჟა-ფშაველას ხუთი სახელიანი თავვიდან სიმარდით განთქმული ფიცხელა გაებმება. იგი ცელქას, ცქმუნას, კუდას ფხორას გადასარჩენია, მაგრამ დამფრთხალი თავგები აქეთ-იქით მიმოიფანტებიან.

ახალი წლის სიხარული ესტატეს გააშვებინებს ფიცხელას.

**სურათი თითი** მარცხენა თითი დაგვიხატა იაკობმა, რადგან გულის მხარემ უნდა დააყენოს გონება ცნობიერების გზაზე. სიტყვა ვინ ბგერწერტილობით სამკუთხედის მარცხენა მხარეს შემოხაზავს კუთხეს, ცეკვა ქართულშიც ასე მოძრაობენ. დაუკვირდით საათის წრეში რომელ წერტილს იკავებს



ქალი და რომელს ვაჟი. აქ ყველაფერია გაცხადებული.

ასეთი ხედვით დაუკვირდით თოხს, სოკოს, წყალში მდგომ იხვს, რომელიც ვიცით, რომ არ დასველდება. დაუკვირდით ვაზს, სარს მიმაგრებულს; კუს, რომელიც მირბის მარჯვნიდან მარცხნივ; მაშას და დანას; ვირს, ღორს, ძროხას, აცივლებულ მამალს; ქათამს, რომელსაც ისეთი ბოლო აქვს ღობეს აუცილებლად გადააფრინდება; გველს — სპირალისებურ პოზაში, ოფოფს, კამეჩს, კიბოს, პეპელას, ბაყაყს — გადახტომისათვის მომზადებულს; გაქცეულ ცხენს მარცხნიდან მარჯვნივ, ყურძნის მტევანს, მწვეარ ძაღლს, გაჩუმებულ კაჭკაჭს, ფინჯანს, რომელსაც ასობგერა ა უკლმა დგომილებით ყურად აქვს, მარცხენა ხელის წასავლებად მომზადებულს<sup>1</sup>.

ყველა სურათის შინაარსი მთლიანდება სიტყვაში **ია**, რომელიც არის მოწმე ცნობიერული ფენომენი უკვე შემდგარი სხვადასხვა საგნობრიულ აქტებში. ამიტომაცაა რომ იაკობ გოგებაშვილი მას მიმართავს კითხვით:

„ია ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახი“

„რა“ ცნობიერებას ვერ შეჭამს. ცნობიერების გაღვიძება არ შეიძლება. ძაღლის ენად ნოდებულის სახრჩობელაზე შეიძლება მოხვდეს და ძაღლი მიაკვდეს სულში.

**აკაკი – „სულიკო“**

1895 წელს აკაკი ეკალში ვარდს შენიშნავს საყვარლის საფლავის ძიებისას.

**ეკალი – მინიშნება ეკალზე**

1. ეკალი არის ტოლფერდა სამკუთხედი და მასში ჩანერილი ასობგერები.

2. ახალ მთვარეს, შოთი პურის ფორმისას, თუ შე-

---

<sup>1</sup> მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობენ შემეცნების გზაზე მდგარი საგნობრივი სახეები.

მარცხნიდან მარჯვნივ კი ცხოველურ რება-სირბილში გამონვრთნილი

მოავლებ სამკუთხედის ფერდებს, მიიღებ ქუდის ფორმას. ეს ქუდი უჭირავს პეპელის დასაჭერად ყმანვილს.

3. ქუდს ზარის გამოსახულება აქვს...

იდიომა „თავზარი დამეცა“

4. „ვეფხისტყაოსანში“ სამკუთხედი კინოკადრულ მოძრაობაში, გვაცნობს თავს:

„უბრძანა: ნადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჭიპია.

წმიდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია“

(587 სტრ.)

ზღვის ჭიპი მოძრაობაში შესული სამკუთხედი, რომელიც ძაბრის ფუნქციონალური დანიშნულებით ტრიალებს იმ მიზნით, რომ გაატაროს ხვრელში და გადამალოს ვინ? ვინაობით ნესტან დარეჯანი.

### **ზღვის ჭიპში ჩაცვნილი ბგერები**

ზღვის ჭიპში ჩაცვივდნენ ის ბგერები, რომლებმაც ხუთეული ვერ შეადგინეს. ასე აღმოჩნდნენ იქ: **ლ, ხ, ყ, ზ, ს. შ. ჟ.** ბგერებს შეუძლიათ იქიდან ამოსვლაც, ამიტომ მიმართავს აკაკი ზღვას აღელდეს და ქარტეხილს დაემორჩილოს, რომ მარგალიტები შესტყორცნოს არემარეს. ასე ამოსტყორცნა ზღვის ლელვამ უკან **ხ** ბგერა, რომელიც ისეთი ძლიერებით ჩაეჭიდა მეგობრად ბისექტრისაზე განლაგებულ 4 ბგერას **ფ, თ, ც, ჩ**-ს, რომ გრამატიკულმა წესებმა სიტყვის განუყოფელ ნაწილად აქცია გადატანის დროს. დასააქცენტირებელია რომ ქ მას არ დაუმეგობრდა.

### **ზღვის ჭიპის აღბილმდებარეობა**

ზღვის ძაბრის ღია თავი იხსნება ფუძეზე შუაში; იქ, სადაც განწერილია ბგერა **თ**. გრამატიკული პროცესი ზღვის ჭიპში გაიარა სიტყვამ ათ-სამ-მეტი. მბრუნავმა სამკუთხედ-

მა ჩაითრია **თს** და როცა მიაღწია ჭიპამდე შეერთდნენ და გადაიქცა **ც-დ**, რომელიც საათის ცენტრია, რომლისგანაც სათავეს იღებს დიდ-პატარა ისრები. **ც-ს** ხმა რომ გაიგეს **თ** და **ს** ისევ დაშორდნენ. **ს** ხვრელში გაძვრა და **თ** დაუბრუნდა თავის ადგილს. მოკლედ, ზღვის ჭიპი ის ადგილია, სადაც ფონეტიკური პროცესები ხდება მაგ. ზ+შ=ჟ.

რადგან **ც-მ** ადგილი დაიკავა წრის ცენტრში, აშკარაა ქართულმა გენიამ მიაგნო ციფერბლატზე პირველმა პირველ საათს და ამ წერილში განლაგდა **ი, ლ, ტ**. რადგან მიაგნო სი-ზუსტით **ი-ს ლ-ს**. ამის კვალობაზე საათმა დაიწყო მუშაობა და მივიდა ათთან. მერე გამოეღია თითები და ათვლა დაიწყო ასე: ათ-ერთ-მეტი. თორმეტთან მოექა ორი ე. ი. ათ-ორ მეტი. ორი, რომელიც ჩადგა რაობაში ბისექტრისის მფლობელობაში ღორად გადაიქცა და ჭიპმა გადაყლაპა.

**ზ-მ** შეცდომით დარეკა ზარი, რადგან იგი უნდა დაერეკა ადამიანს, რომელიც ლამეში მზეს (სიკეთეს) შეუმეგობრდებოდა ერთობით. ადამიანმა ბისექტრისის მფლობელმა (სადაც ბგერებია **ფ, თ, ც, ჩ, ქ**) ღორობა მოინდომა, ამიტომ გადაყლაპა ზღვის ჭიპმა ზარი, გადაყლაპვის პროცესს ასახავს **შ**. გადაყლაპულთა აჩრდილი ბგერები სამკუთხედში ამიტომ ვერ პოულობენ თავის ადგილს, მაგრამ მათ გვერდით ცხოვრობენ.

ასე ჩაყლაპა და აჩრდილად წამოიძარათა **ხ** ბგერა, რომელიც ყველაზე ძალიან ბატონობდა ძველ ქართულში. მოგეხსენებათ ეს ბატონობა გადააბარა **ჰ-ს**.

„მე ვარ გზა“ – აცხადებს ქრისტე, რომელმაც ზნეობის კარი უნდა შეაღოს ადამიანის გულში, მაგრამ როგორ უნდა შეაღოს? უნდა იპოვნოს სამკუთხედის წვეროს – შემეცნებითი ა-ს ქვემოთ სამეული ბგერებისა **ლ-ხ-ყ**, ისინი გვიყვებიან ამბავს ფონოლოგიური შლილობით: ღმერთი არის



ადამიანის ხელი, რომელიც ქმნის ყოფიერებას ამ ფორმულას სიზუსტით მიაგნო დიდმა შალვა ნუცუბიძემ როდესაც განაცხადა ცნობიერება ქმნის ყოლიერებას. ბატონი შალვა გრძნობდა, რომ ვიოლინოს გასაღები ქართულ ანბანს ეკავა, უთუოდ ამიტომ გაეხუმრა დიდ ფონეტიკოსს, გიორგი ახვლედიანს: „როგორ არის შენი ფუნეტიკაო“.

ამაში მდგომარეობს დამარხული, მძინარე, 4 დღის მკვდარი ლაზარეს საიდუმლო. საიდუმლო, რომელსაც ფლობდა ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი და მარტოდ დარჩენილი გალაკტიონი.

## მხატვარი გამოცანა ზიროსმანი

კაცი ნამოთრობითობარი სახელობითობით გამოცხადებული თავის სახელსა და ნამუშევრებში


სურათი

### მეთევზე

მეთევზეს ორი თითით უკავია თევზი, პირველ მეორე თითს შორის შავი სივრცე ზემოთა ნაწილი მომრგვალებული ქვედა – სამკუთხედის წყვეტით.


**დაჭერილი თევზი** – სიტყვის განსახების მხატვრული ფენომენია.

**ლილები** – კითხვითი ნაცვალსაეხელების ვინ? რა? ყელში აქვს დაკერებული. სულ ბოლო ღილი



უფუნქციოდაა დაკერებული რადგან ჭრილი დამთავრებულია. ეს კითხვა ბოლო დილით აღნიშნული, რასაკვირველია, არის კითხვა **სადაური**.


ასეთი მეთევზის ხელში თევზი თაივდან აღარ აყროლდება, რადგან მისი ქუდი მთვარის დისკოა. მეთევზე ქართული სიტყვიერების წყალში დგას, ამიტომ პერანგს სირცხვილის სინითლე აქვს.



### არწივი

არწივი საქართველოს სიმბოლური სახეა, მისი ბრჭყალებით დასისხლიანებული კურდღელი ქართული ენაა, რომელიც ფიროსმანის თანადროულ საქართველოში ჩირგვში იჯდა და ბატონის გამოჩენისა ეშინოდა;

არწივი აფოფრილია, მაგრამ უჭირს მნახველს თავისი სხეულით **ო**-ს მოხაზულობა დაანახოს. **ო** 9 საათის ადგილზე მდგარი საქართველოა. მსოფლიოში მხოლოდ ერთი ქვეყანაა, რომლის სახელიც **ო**-ზე მთავრდება.



### თეთრი ღორი

თეთრ ღორს, რასაკვირველია, 5 გოჭი ჰყავს, ყური შავი ელიფსის ჩრდილითაა მოყვანილი.

## ჟირაფი

ჟირაფის გულის წნევით ისვრის აზრს გონებისაკენ ქართული სიტყვა ათასწლეულების სიღრმიდან. არ გაგიკვირდეთ მისი ბრაზიანი გამოხედვა, განგაში ჩასახლებულა მის თვალეში. მარჯვნიდან მარცხნივ შემოუბრუნებია თავი, მარცხენა ფეხით იწყებს სვლას.



## ირემი შვლის ნუკრთან




მამა ირემი ნაკადულის მარჯვენა მხარეს დგას. იგი ბრძენია, რადგან წყობილი ბენვი ყელზე 5 ფენის გამოკვეთილობით იმზირება. დედა ირემი წყალს დასწაფებია. სუფთა წყალი, რომელიც იქვე იზადება სიტყვის მეტაფორაა.

რადგან წყალს სვამს, მას მოკლავენ. შველი არ სვამს წყალს, ის გადარჩება.

## შველი მდინარესთან

მარტოდ დარჩენილი, დაობლებული შველი ისიც წყალს დასწაფებია, წყალში ორი ფეხი უდგას, მაგრამ წინ წანეული მარჯვენა ფეხია. მაშასადამე, სიტყვას იგი სათავისოდ მოიხმარს.



**მეცხვარე** – სალამურს უკრავს. მარჯვენა ხელში კაუჭა ჯოხი უჭირავს მეცხვარეს, მარცხენა (გულის მხარეა, უნდა გვახსოვდეს) ფეხი წაუდგამს წინ. საჭირო დროს ის ცხვრის დუმასავით სიმართლით, სიბრძნით, გარეგნო-

ბით საჭირო სიტყვას ჯოხს გამოკრავს და ფეხით დაიჭერს. მართალია ზოგი ცხვარი ქვად ქცეულა სურათზე, მაგრამ ზოგიც დარჩენილა.

## **პერსონაჟის თითები ფიროსმანის ნახატებში**

პერსონაჟის თითები ხან მიჰყვება ბიოლოგიურ პროპორციებს, ხან არა. ვედრების პოზაში გაჩერებულ ხელებში მარცხენა ხელის პირველ მეორე თითს შორის გამოკვეთილობით იხაზება ა ბგერა. ამიტომ მისი გული ზნეობასთან მიმართებაში წრფელია. საზოგადოდ თითების მეტყველება მარჯვენა-გაურკვევლობის სტატიკური შეფასებაა ვინაობა-რაობაში, რომელობაში, როგორობაში, რანაირობასა და რამდენობაში.

### **გლეხი ქალი ბავშვებთან ერთად მიდის წყალზე**



წყლისკენ კოკებით მიდიან დედა-შვილნი, წინ ბიჭუნა მიდის, უკან გოგო. კოკაში წყალი არ არის, მაგრამ თავი მიანც დაგმანული აქვს ყველა კოკას, რადგან უკან რომ გამობრუნდებიან, კოკასა შიგან რაცა დგას იგივე არ უნდა წარმოდინდეს, ე. ი. მართალი სიტყვა დაგმანულია.

## ექიმი ვირზე



ექიმს ქუდი ხურავს, ე. ი. ცოდნა აქვს. ერთ ხელში უკავია მხარზე გადებული ქოლგა, მეორეში ჯოხი. ქოლგის ფუძე გამოსახულება სანვიმარას გარეშე შეიძლება გადავაკეთოთ ქ-დ და ჭ-დ. თუ ამ ბგერებს ფონოლოგიურ შლილობაში მოვიყვანთ ჩვენს წინ


დადგება ორი სიტყვა: ქრისტე, ჭა. ეს ორი სიტყვა შემეცნების და თვითგამორკვევის ორი ფენომენალური სიღრმის ტყობინებითი სივრცეა. სივრცე, რომლებიც ადამიანმა აზროვნებაში ქოლგად შეიძლება გამოიყენო, მაგრამ ყველა შემთხვევაში კი არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვირი მარჯვენა ფეხით იწყებს მოძრაობას და ცხოვრებასთან შესაბამისობაში ამით მოვა. ამ აზროვნებაში შესული სურათის მკითხველისათვის ვირი კარგავს საგნობრიულობაში სუნთქვას და იგი გადაიქცევა ამხედრებული ექიმის მხატვრულ ჰიპოსტასად. გზა ვინაობისა ვირზე მხედრობითა მისაღწევი.

სურათზე ამოკითხული მრავალი პასაჟი უტყუარი არგუმენტაციით ეცმება იმ დაკვნაზე, რომ ვირზე ამხედრებული კაცი იაკობ გოგებაშვილია. იაკობი ქართველთა სულების მალამო.

## რიცხვმეტყველება ფიროსმანის ნახატებში

მამალი და კრუხ წინილები

მამალი ყივის, კრუხი გაფოფრილია, რომ არცერთი წინილა არ დაეკარგოს; კრუხი ჭამას ასწავლის წინილებს, წინ



ნილებს შავი ფრთები აქვთ, გაიზრდებიან და ამ ცოდნას სიშავით გამოიყენებენ. უპირველესი დასააქცენტირებელი სურათზე წინილების რაოდენობაა, რადგან სურათი ფილოსოფიურ სიმალლემდე აჰყავს თხუთ-

მეტი წინილის წიგნივს.

შემეცნების თხუთმეტი საათია იაკობ გოგებაშვილის საათზე, თექვსმეტის წაკითხვა უკვე შეუძლებელია.

რადიკალურად სხვა აზრებში გაბლანდულმა კაცმა შეიძლება გითხრას დახედე ბატონო იაკობის საათს, იქ დიდი ისარი ოცდახუთს უახლოვდება, პატარა კი თორმეტზე გაჭიმულა სრულიად არეულიაო. პატარა ისარი რომ გადასწიო, უკვე გასწორდება... მაგრამ აბა წადი და პატარა განზომილებას შეეხე, ადგილი შეუცვალე, თუნდაც ცხოვრებაში, თავზე დაგამხოვს ყველაფერს.

თორმეტიდან ბისექტრისა გამოედინება. მოდით და ადვილად თავში წამოსარტყმელ დიდ ისარსაც ნუ დაეჩაგრავთ. ეს როგორო, მეტყვით... როგორ და აქაც ჩავხატოთ მშვიდობიანი ტოლფერდა სამკუთხედი, ასეთი გეომეტრიული მიდგომა ნეტავ რას მოგვცემს? სამკუთხედის ფუძეზე სიარულს დაიწყებს ქანქარა და იაკობის გაჩერებული საათი ამუშავდება. დიდი ისარი სწორედ იმ ადგილს ნიშნავს, სადამდეც შეიძლება ქანქარა მივიდეს.

სამკუთხედს, თუ განვათავსებთ საათის წვეტით 12—თან იქ ქრისტიანული ჯვარი განედლდება და მხრებს სიზუსტით მიიტანს 9—სთან და 3—თან. პრობლემას ის წარმოადგენს, რომ ქართველთა შემეცნებითი საათი სამთანაა გაჩერებული, ჯვრის ლუსკუმის მარცხენა კუთხესთან მიახლოებას

კი შეძლებს მხოლოდ იაკობ გოგებაშვილის მეშვობით, ამიტომ შემოუსვია ვირზე ექიმად ქართველთა ცნობიერების გამაცოცხლებელი, კაცი – ნიშადურის სპირტი. დიდი ისრის საშუალებით ქრისტიანობის ზნეობის ქანქარამდე თუ მიაღწევინა, მერე შვიდს გადაცდება. აი მერე შვიდს რომ ცოტათი გადაცდება სოფლის მოედანზე წასაკითხავად, ყველას დასანახავად მუხლზე წიგნს დაიდებს და ცქერას დაიწყებს შიგ გიგო, „ვითომ ერთი შემომხედეთ, რა ბეჯითი ბიჭი ვარო“.

### **თხა და გიგო**

სინამდვილეში კი მას წიგნი უკუღმა უდევს, შიგ ტყუილად იცქირება.

აქ იწყება ქართული ცნობიერების მეორე ძილი. I ძილი სამიდან ხუთამდე გრძელდებოდა, მეორე ძილი კი შვიდიდან ცხრამდე გაგრძელდება.

სამიდან ხუთამდე ილიამ, ეგზარხოსის წინააღმდეგ ამხედრებულმა დიმიტრი ყიფიანის სისხლმა, აკაკის „სულიკომ“ მიუახლოვა ხუთი თითის ცნობიერებას, მერე ხუთი ისე გაიარა, რომ ვერც კი გაიგო, რომ მარცხენა ხელის თითების თვლაში შევიდა. შევიდა ამ თვლაში და მოთხრობა „თხა და გიგოს“ პერსონაჟების შიგ ჩაბუდებული არსები ტირაჟირებულ ხორციელებაში იწყებენ ცხოველურ რებას რეალობის ყველა შრეში – სასამართლოში, სახელოვნებოში, საპარლამენტოში, სატელევიზიოში თუ ავტობუსში მგზავრობისას.



### **აკვანი გაკვეთილი 6-ზე**

ახლა ხომ ცხადია: რატომ გახდა აკვანი 6-ს შესწავლის საგნობრიული სახე.




მალულად მოხაზული კვერცხი ჩანასახში იძახის „ვა“-ს, რადგან მისი მიზანი იყო ექთვა ვარ.

აკვანი  
აკ ვა ნი  
აკ ვ ა ნ ი  
ნ

კვერცხში ჩანოლილი ვამიტომაა მის ზედა-ქვედა განწერილობაში ჰორიზონტალში განოლილ ვ-სთან, უსწორობაში.

ესე იგი ბისექტრისაზე გაეწლო ქვემოდან ზემოთ. ილიამ, აკაკიმ, დიმიტრი ყიფიანმა თავისი სისხლითა და დაფნის გვირგვინით შვიდს ცოტათი გადააცილეს. შვიდი საათის ფანჯრიდან გულანშარო იყურება. აი აქ, ამ ადგილზე ვართ ქართული ენის საკომუნიკაციოდ მომხმარებელი ადამიანებო.



\*\*\*

1. როგორ გავაგრძელოთ გზა?

2. ვინ უნდა შევჯდეს ვირზე, რომელი ფეხით უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი?

ამ კითხვებზე პასუხს გვცემს იაკობ გოგებაშვილის ნიჭიერებით მოსიარულე მხატვარი მირზაანელი გლეხის შვილი – ფიროსმანი. ვირზე ბიჭუნა უნდა

ავამხედრო, მარჯვნიდან მარცხნივ უნდა წავიდეს, პირველად მარცხენა ფეხი უნდა გადადგას. თავზე ქუდი ისეთი



უნდა დავხუროთ გუმბათი პეპელის დასაჭერად ხელში რომ ეკავა ბიჭს, ოღონდ სავსე მთვარის დისკო შემოგავლოთ, ამას გვასწავლის ფიროსმანი.

### **ვინ უნდა აწოვოს ძუძუ ბიჭს და რომელი: მარცხენა თუ მარჯვენა?**

ძუძუ მარცხენა უნდა ვაწოვოთ მარჯვენა ძუძუში ქართული ცნობიერების რძე აღარაა; ამასაც ფიროსმანი გვასწავლის.

მაშავერა მდინარე გვეუბნება მაშ? ველარ აწოვებთ, რადგან ჩემით მორწყული მიწებისგან რძე გაცუდდაო, ვერ ხედავთ მდინარე ვერამ წაგლეკათო... მაგრამ ნუ გეშინიათ ყველაზე წალუხვი მდინარის – რივნის მუცელშიც ვარ, თუ ვინაობაში გამოცოცხლდით, მე – არაგვი სიბინძურის დაგვასაც დავიწყებ და სასაყვედუროდ აღარ გექნებათ არა გვიო. თბილისის მეეზოვე „დვორნიკს“ რომ ეძახით, ისიც მაგრა დაიწყებს მუშაობას და გეშველებათ. თერგი თანაობაში შეიყვანს რაობას, რომელიც თუ მგლად გადაიქცა ბისექტრისაზე მოძრაობაში, ქაჩაჩიდან ლურსმის ამოღებისას ვირი წყვილი ჩლიქით კბილებს ჩაუმტვრევსო.

მერე რა მოხდება?

მთვარის სარიტუალო ცეკვა სამაია გვასწავლის დარბაისლურად, სინარნარით სამკუთხედს სავსე მთვარის გამოსახულებაში შემოვუაროთ და მას როგორც წინათ კაცებიც იცეკვებენ. აი რატომ არაა არცერთი შოთი გა-



ტეხილი ფიროსმანის მაგიდაზე.

ახლა ძვირფასო გონებით გაემოცოცხლებულეზო მიხვდებით რატომ უკავია მეეზოვეს ცოცხის მაგიერად ზუსტად ისეთი ჯოხი, რომელიც მხარზე აქვს გადადებული მეცხვარეს.

## მეეზოვე



აწი თქვენ დაუკვირდით და გამოიცანით ცნობიერების გამაცოცხლებელი რეკვიზიტები ფიროსმანის ტილოებზე; მოხარშული დედალი, თონის პურები; რატომ უკავია გოგონას მარჯვენა ხელში პეპლის საჭერი, მარცხენაში კი წითელი ბუშტი, შამილის საჩვენებელი თითი რატომაა სახაზავივით სწორი, თითს აღარ ჰგავს; გოგონას მარცხენა ხელში რატომ უკავია ყვავილების კონა, დაუკვირდით მოხარშული დედალი რომელ მხარეს დევს სუფრაზე. ლანგარზე რატომ აწყვია შვიდი ხან ექვსი სააღდგომო კვერციხი;

ორთაჭალის ტურფას ხელში მარაო უკავია, რომელიც ხაზავს წრეს თორმეტიდან ექვსამდე. ნატურმორტი რატომ არის ოვალურ ლანგარზე მსხალი რაოდენობით 13 და ასე შემდეგ.

## ცნობიერების ლიტერატურული საათი

**ნაზი ხანიაშვილის გამოკვლევა, „საქართველო — შუმერთა უფლის წმინდა გულით არჩეული, დიდებულ წესთა ქვეყანა“**

ცნობიერების ლიტერატურული საათი ხელში უკავია ქართული მწერლობის ხუთეულს: შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას და გალაკტიონს. სანამ მათ სამყაროში შევალთ, მანამდე მოკლედ, ფრაგმენტულ-ვარსკვლავური სიშორით, მაგრამ შინაარსობრივი სიახლოვით უნდა გაგაცნოთ ნაზი ხანიაშვილის გამოკვლევა საქართველო – შუმერთა „უფლის წმინდა გულით არჩეული“, „დიდებულ წესთა ქვეყანა“.

შუმერის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს 5000 წლის თიხის ფირფიტა ზომით 23X23 სმ, რომელზე პანანინა ნიშნებით 600 სტრიქონად დაწერილია: „ენმექარი და არათას ბატონი“. აქ მონათხრობის მიხედვით, სამხრეთ შუამდინარეთში იყო ქალაქი ური, რომელსაც მართავდა შუმერთა გმირი ენმექარი. მითის მიხედვით, **ურუქის ჩრდილოეთით მდებარეობდა სახელმწიფო „არათა“**. ურუქსა და „არათას“ ერთმანეთისაგან შვიდი მთაგრეხილი აშორებდა. „არათა“ განთქმული ყოფილა სიმდიდრით – სხვადასხვა ძვირფასი ლითონითა და ქვებით. „ერთხელ, დიდი ხნის წინათ“... ენმექარი, მზე უთუს შვილი, შეევედრა თავის დას, შუმერთა ქალღმერთ ინანას, სიყვარულისა და ომის ღმერთის ყოვლისშემძლე ღვთაებას, ექმნა ისე, რომ **„არათას“ წმინდა მიწიდან ჩაეტანათ ურუქში ოქრო, ვერცხლი, ლილაქვა და სხვა ძვირფასი ქვები, რათა ამ წმინდა ქვებით მიწა-წყლის ღმერთის ენკის ტაძარი აეშენებინათ.**

ქალღმერთმა ინანამ, რომელიც მკვიდრობდა „არათას“ ქვეყანაში, გულთბილად მიიღო ენმექარის გამოგზავნილი მაცნე. ქალღმერთ ინანას დავალებით „არათას“ ბატონმა

ურუქში ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები გაგზავნა. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ „არათას ქვეყანა“, რომელიც შუმერული მითის მიხედვით მდებარეობს ურუქიდან ჩრდილოეთით შვიდი მთაგრეხილის იქით, არის ქალღმერთ ინანას განსასვენებელი“, სამკვიდრო-სამშობლო. „არათას“ წმინდა მინიდან წაღებული ოქრო, ვერცხლი და სხვა ქვები ითვლება იმ სინწინდედ, რომლისგანაც ენმექარმა ურუქში ენკის ტაძარი ააშენა და შეამკო.

შუმერული მითი „ენმექარი და არათას ბატონი“, არათას ქვეყანას შემდეგნაირად მოიხსენიებს: „**ღიადი ქვეყანა დიდებულ წესთა**“, ოქრო მისი შობის ადგილზე დამიმზადოს“, **წმიდა წესების ქვეყანამ („არათამ“)** ამიშენოს, „**ბევრეულ წესთა დედოფალმა, წმინდა ინანამ „არათაში**“, **წმინდა წესთა ქვეყანაში მომიყვანა...**“

„წმინდა წესების ქვეყანა“-ში მოიაზრება სწორედაც „მე“-ს „ხვთაებრივი კანონების“ – კაბალას ბიბლიური სამშობლო – საქართველო, ვინაიდან „მე“-ს „ხვთაებრივი კანონები“ მხოლოდ ქართული ანბანის შესატყვისი „ქართული კაბაელაა“. სწორედ ამ „ხვთაებრივი კანონებით“ – გენეტიკური კოდით მიმდინარეობს სამყაროს ცვალებადობის კოსმიური პროცესი. მითი კაბალას „**წმინდა წესებს**“, „**დიდებულ წესებს**“ უწოდებს და ამ წესების სამშობლო ქვეყანას „ღიად ქვეყნად“ მოიხსენიებს.

„**ღიადი ქვეყანა დიდებულ წესთა**“ არის კაბალას ბიბლიური ცოდნის სამშობლო – საქართველო. ქართველი ხალხი კავკასიის ძირძველი მკვიდრია და არსაიდან მოსული არ არის. კავკასია – საქართველოს ბიბლიური კაბალას სამშობლოა, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს ოდითგანვე „კაბალა“ ერქვა. ქართული ანბანი სამყაროს გენეტიკური კოდია...

შუმერს არა აქვს სიტყვა „მე“, თუმცა მას „შუ-მე-ერი“ ჰქვია და, ამავე დროს, აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი „მე“-ს „ხვთაებრივი სჯულდებები“, ანუ სჯულის კანონები. ეს ცოდნა იქ საქართველოდანაა ჩატანილი.

„შუ-მე-ერი

შუ – შუაგულს ნიშნავს

მე – სამყაროული „მე“-ა, რომელი სიტყვაც შუმერს არა აქვს.

„ერი“ – „ერთი“ – „ერა“ იდენტური ქართული სიტყვებია.

თვით ქალღმერთ „ინანა“-ს სახელი „ინ-ან-ა“, ქართული ანბანის მეორადი სახელისგან შედგება და „ინ“ და „იან“ ორი პირველსაწყისის ენერგიათა ერთობას ასახავს: ქალღმერთი ინანა დღისით მეომარი და კაცია, ხოლო ღამით სიყვარულის ქალღმერთია, ანუ ორბუნებოვანია...

შუმერი სიტყვა „მე“-თი ახასიათებს თავის გენეტიკურ წარმომავლობას.

ბევრ საინტერესო და უმნიშვნელოვანეს ენგობრივ არტიფაქტს ქართულობით საკითხავს გაეცნობით ნაზი ხანიაშვილის გამოკვლევაში, მაგრამ ახლა აქცენტი მინდა დავსვა ერთ მომენტზე, რომ **შუმერში აღმოჩენილი ოქროს ნაკეთობებია სოფ. საყდრისის ძველი შახტების ოქროსგან დამზადებული**. აკი მითში ენმექარი ითხოვს კიდევაც თავის დას: „... ოქრო მისი შობის ადგილზე დამიმზადოს.“

საქართველოს ოდითგან „იბერია“ ერქვა და არა „ივ-ერია“, რომელიც „ვერ შემდგარი ერის“ ენერგეტიკული გამოხატულებაა. თუ უკუღმა ნავიკითხავთ მივიღებთ სიტყვას „აირევი“... იბერიის ცივილიზაციის გზა მარადისობაში დაიწყო და ისევ მარადისობას დაუბრუნდება – ასკვნის ქალბატონი ნაზი.

## ქართული ცნობიერების გზა

ქართული ცნობიერების გზა უთუოდ არათას ქვეყნიდან იწყება, სადაც ადამიანის თითები, მხოლოდ სიკეთის მსახური იყო. იმ ქვეყანაში უთუოდ დაუმთავრებელი ბედნიერება ცხოვრობდა; „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი... ასე იწყება ყველა ზღაპარი. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფიც პედალირებს სიტყვას ერთი „ჰე, ღმერთო, ერთო“.

### ამუშავებული ქართული ცნობიერების საათი

**არაბეთი** – სახელმწიფოებრივი ზეობის 12 საათი, მაგრამ რუსთაველისათვის იყოში არსებული, რადგან საათი დაღმავალი გზით ბნელისგან სამი საათისკენ მიემართება, სინანულის ელფერი დაჰკრავს პირველ წინადადებას „იყო არაბეთს როსტევან“...

ღამის 3 საათზე იღვიძებს ილია, გრძნობს, რომ ქართულ ცნობიერებას დიდი ხანია ძინავს საათის ციფერბლატზე. ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ ძლივს-ძლივობით მიაჩოჩეს საათის ისარი ხუთის სიახლოვეს, ახლა უკვე სამიში არაა, ქრისტიანობის საათის ქანქარას გაჰყვება საქართველო და შვიდს ოდნაობით გაცდება კიდევ.

– „ჩემი და ილიას ღვანლი რა სახსენებელია, იაკობ გოგებაშვილის ღვანლთან“, – ამბობდა აკაკი და იცოდა, რომ შვიდიდან 9 საათამდე **ო**-ბგერის სიძლიერემდე **მ**-ბგერის მზეობამდე, **ძ**-ბგერის ფონოლოგიურ შლილობამდე იაკობ გოგებაშვილს უნდა მიეყვანა საქართველო, რომ პირველი პირის ნაცვალსახელს მეობით გაეველო ეკვატორის ძლიერებით დედამიწის კვერცხ-ელიფსში. სწორედ ამიტომ შესვა მარჯვენა ფეხით წინ წანეულ ვირზე ნიკო ფიროსმანიშ-

ვილმა ქოლგაში დამალული ქ და ჭ ბგერით იაკობ გოგებაშ-  
ვილი, რომელსაც მიაყოლა ისევ ვირზე შემჯდარი პატარა  
ბიჭუნა. ბიჭუნა, რომელსაც მთელი ანბანის მგრძნობელო-  
ბით შეუძლია ვირს მოძრაობა მარცხენა ფეხით დააწყები-  
ნოს. დააწყებინოს და თორმეტ საათთან მისული ადამიანის  
ხელი მზის ძალასთან შენივთებული, ღმერთის ძლიერებით  
აამოძრავოს.

გილოცავთ ქართველებო დედა ენის საიდუმლოს ამოხ-  
სნას.

# სახელმწიფოებრივი საათი და ეროვნული ცნობიერების საათი

ლადო გუდიაშვილის სურათი  
„პოემის დასასრულის მოლოდინში“



სურათზე „პოემის დასასრულის მოლოდინში“, სახელმწიფოებრივი საათია წარმოდგენილი არეული ეროვნული ცნობიერებით. ხაზები ნახევარსიზუსტული მინიშნებებით შუქის და ჩრდილის ისეთ გეომეტრიულ გამოსახულებაშია, რომ საათს ვერავინ მიაგვანებს, რადგან წერტილი, საიდანაც საათის ისრები შეიძლება მოვიაზროთ, ცენტრში არ არის... და როგორ შეიძლება ცენტრში ყოფილიყო, როცა ლადო გუდიაშვილის ფანჯრიდან 1953 წლის საქართველო ხმაურობდა. თუ ამ გადაშლილ წიგნზე იმავე შუქჩრდილში წარმოვიდგენთ საათს, ოღონდ ცენტრს ვუპოვნით, მაშინ მაიმუნისმაგვარი ჭინკის ფეხი პირველ საათს დააბიჯებს. ჩვენს მიერ ადაკეთებულ საათს – ცენტრ ნაპოვნს, დავარქვათ ეროვნული ცნობიერების საათი, რომელიც ქართველებს



უყვება „ველთა ზღაპარს“, ჭინკას მარცხენა ხელი დაუდია თავზე ბიჭისთვის, რომელიც შიშისაგან გალურჯებულა. მას შუბლზე მარცხენა მხარეს თმა ნ კულულად ჩამოშლია. თმა სიბრძნის მეტაფორაა, სიბრძნისა, რომელიც, ალბათ, აღსასრულის მიზეზი გახდება უთუოდ.

დავუბრუნდეთ ისევ სურათის საათს მკრთალ მინიშნებებში წარმოდგენილს, არეული ეროვნული ცნობიერებით; პოემის წერით გატაცებული პოეტისთვის ყველაფერი ნათელია; ევროპული ტანსაცმელი, შლეიფი, მეტყველი იტელექტუალური რეკვიზიტებია იმის მისანიშნებლად, რომ პოემას იმ მიზნით წერს, რათა ცხოვრება შეცვალოს ევროპულისკენ, ოღონდ ქართული უღვაშით (უღვაში ხომ ი-ს მოხაზულობისკენ მიისწრაფვის). დავუკვირდეთ ერთ მომენტს, რომ ეს ყველაფერი წიგნის მარცხენა მხარეს, სურათის გულის მხარეს იწერება.

სურათის მარჯვენა ნაწილი სიბნელეშია, რადგან ეროვნული ცნობიერების უსაათობაში ყველა ცოდნა კატის და თუთიყუშის საკუთრებაა. თუთიყუში ხუთიანით და ყბედობით დაკმაყოფილდება, მაგრამ კატა? კატა აი ის კატაა, ვენახის — ქართული ცნობიერების შემქმელთა რიგში რიგით მე-7 დამნაშავე რომაა, მას უფრო დიდი მიზნები ექნება.

შვიდი დამნაშავის შვიდ კითხვაში გამომცნობელმა ქართველმა შვიდკაცა აამღერა. არც ორი, სამი, ოთხი, ხუთი ან ექვსი კაცის სიმღერისთვის არ დაურქმევია ქართული სახელი ენობრივ მგრძნობელობას. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ კითხვითი ნაცვალსახელები: ვინ? რა?, რომელი? როგორი? რანაირი? რამდენი? სადაური? თვითგამორკვევის ძაბრისებურ ტრიალში ექცევა: ვინ შეჭამა ვენახში, შვიდკაცას სახელდებაში, ფიროსმანის ოვალურ ლანგარზე 7 წითელ კვერცხში ან მეთევზის პერანგზე დაკერე-

ბულ 7 ლილში... და თუ შვიდმა კითხვამ თვითგამორკვევის ძაბრისებურ ტრიალში იპოვნა მზე, მაშინ მას წინ ჩაიყენებს შვიდი. მზე+შვიდი და მივიღებთ სიტყვას – მშვიდი. აი ასე დამშვიდდება საქართველო.

ლადო გუდიაშვილის აზროვნებითი გამომეტყველების სახეობრივი ჰიპოსტასი ლ. გუდიაშვილმა წარმოგვიდგინა ენაგამოყოფილ კაცში, რომელიც სახით სურათის ავტორს წააგავს. ლადო გუდიაშვილის გამოსახულება ყველაზე დიდია და მოცულობით შეუსაბამობებშია სხვა ადამიანების გამოსახულებებთან. ენაგამოყოფილი თავის გვერდით უწვრილესი გრძელი ყალიონით წამომჯდარა ისეთი ჩაცმულობის ადამიანი კინტოს რომ წააგავს, მაგრამ ცხვირი ბურატინოსი აქვს. აშკარაა, რომ ყველაფერი ამით ის ერთობა.

მელოტი თავი (ე. ი. სიბრძნის უქონელი) მამაკაცისა ბურატინოს ცხვირიანი უთვალთვალებს პოემის ავტორს ბატის ფრთით რომ აგრძელებს ნაწარმოების წერას და მას როგორც პოემის ერთ-ერთ გმირს აინტერესებს როგორ დასასრულში შეიყვანს მის პიროვნულ მეობას. საზოგადოდ, საქართველოში უბრალო ადამიანებმაც შენიშნეს, რომ გუდიაშვილი ყურს არ ხატავს, მაგრამ ამ ბურატინოს ცხვირიან მელოტ კაცს ყური ისეთი მონდომებით აქვს მიხატული, რომ თუ თავს გამოაკლებ და მარცხენა ყურს თავის გარეშე წარმოსახვით მიუხატა, მთელი სისრულე-სილამაზით წამოიმართება ასო-ბგერა **ო. ო**, რომელიც დაიტანება საათზე (ოლონდ ცნობიერება გასწორებულ საათზე) ციფრ ცხრაში.

ნეტავ რა უხაროდა წოდებითის **ო**-ს ცხრასთან რომ წერებულიყო? იქნებ იმისთვის უხაროდა, რომ მსოფლიოში საქართველოა ის ქვეყანა ერთადერთობით გამორჩეული, რომელსაც ღვინისთვის ღვინო იმიტომ დაურქმევია, რომ

თავისთავს შეკითხვოდა ერთი სიტყვის სივრცეში ღმერთი ვინო? მას კი – ღვინოს ეპასუხა მთვრალი ქართველის პირით – მეო. საუკუნეების განმავლობაში ბახუსში შესული ადამიანი ამ ქვეყანაში მუდამ მის ბედზე ლაპარაკობდა



და ლაპარაკობს ორკაციან სუფრაზეც კი. ლაპარაკობდა, მაგრამ ვინ უჯერებდა? ფიროსმანის მოქეიფეებივით წინ არავინ უჯდა, რომ მისთვის ეთქვა მართალი ხარ ან არაო. სწორედ ამიტომ გაიხადა ქართულმა ღვინომ და მისით მოქეიფე ქართველმა მცხეთა სამიკიტნო დაბად ილიას დროს და ეხლაც.

## პოეტ-გამოცანათა სუთეული

„თუ კაცი ხარ და პოეტი, უნდა იყო გამოცანა“.

გულდასაწყვეტია, რომ მწერალთა შორის მწერალ ჭიანჭველათა ფენომენალური გრძლიობა საუკუნეებში გაბნეული და გზანყვეტილობაში ჩაკარგული ვერ შეამჩნია საქართველომ. სწორედაც ჩაკარგულნი, ოღონდ ვინაობა-რაობის სახე-სიმბოლოები თავიანთი მრწამსით, ცხოვრებით, შემოქმედებითი ტენდენციებით ყველანი პოეტი გამოცანები არიან. ამასთანავე პიროვნებაში გარდამავალი ძლიერების სულიერებითი ღონიერებანი.

ისინი გალაკტიონმა სააშკარაოზე ფიროსმანის კახეთის მატარებლის 5 ვაგონივით ერთმანეთს ჩააბა, უწყვეტ ხაზად აქცია და ყველა ქართველის გონებაში ორ ტაეპიან ხნულად ჩატოვა გალაკტიონმა:

„რარიგ კარგია სამშობლო, შენი მტკვარი და რიონი,  
შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და . . . . .“

გალაკტიონის თანადროული საქართველო შეგრძნებებში აზროვნებაში ჯირკვივით იყო გადაბრუნებული. „ნაიქცა ჯირკვი, მიეხვია ჭიანჭველა,“ - ამბობს ქართული ანდაზა. ნაქცეულ ჯირკვს განაჩენივით მიახვია ჭიანჭველათა ხუთეული გალაკტიონმა. კაცმა, რომელმაც პირველად ამოიცნო ქართულ მწერლობაში მწერალ ჭიანჭველათა ქართულ ნიადაგზე მოსიარულე მატარებელი.

მაღალი, ღვთაბერიობის სიბრძნის გამომთქმელია მწერების სახეები. მათ სიბრძნეს საგნობრიობაში ჩაგვანვდენს იაკობ გოგებაშვილი მაშინ, როდესაც მწერებისადმი მიმართული შემეცნებითი კითხვების პასუხები ჩამონათვალში ასეთ რიგითობაში თავსდება:

1. ფუტკარი
2. კოლო

3. ბუზი
4. ჭრიჭინა
5. ობობა
6. ჭიანჭველა
7. კალია
8. რწყილი

მწერებისადმი მიმართული შემცენებითი კითხვების პასუხები გადავანებოთ მწერალთა ბუნებით ნაირგვარობებს და მათი განსხვავებული სახეები დანმინდავდება მწერების საგნობრიულობაში. თავად ი. გოგებაშვილის, როგორც მწერლობაში ღრმად განსწავლული ფენომენი კი იკითხება რიგითობით ჩამონათვალში, რომლის სიბრძნითი ღერძი მწერალი ადამიანია — რიგით VI – ჭიანჭველა.

მწერალმა, ქართველმა ადამიანმა, მუშაობა დაიწყო ფუტკრის შინაარსით და მიზნებით. ამ შინაარსმა კი იგი აცხოვრა რვა ფილოსოფიურ-ჰიპოსტასურ განზომილებაში.

### უნივერსიტეტის ემბლემა

დომიტრი შევარდნაძის შექმნილი უნივერსიტეტის ემბლემა ირემი და შველი ცნობიერების ორ საფეხურს არეკლავს, რომელიც მართლაც დიდი წარმატებით გაიარა. ეს ორი საფუძველი მსუყე ნიადაგია იმის გასაგებად, თუ რა მისია აკისრია ქართველ ერს ცივილიზაციის წინაშე. სწორედ ამის გააზრებისათვის საჭიროა გავიხსენოთ ზღაპარი „ირმისას“ დასასრული: „ირმისამ ყველაფერი უამბო, რაც ქაჯებმა ილაპარაკეს და როგორც დაამთავრა, ქვაგრილად იქცა



(ფიროსმანის ცხვრებივით). დაიწყეს ტირილი დედამთილმა და რძალმა. ადგა რძალი და გაიქცა მკითხავთან. მივიდა და შეეხვეწა:

– მირჩიე რამე ქვაგრილსაო!

მკითხავმა უთხრა:

– შენი შვილი მოხარშე მდულარე წყალში და გადაასხი იმ ქვაგრილსა, ის ბავშვი და ირმისა ერთად მოვლენ შენთანაო!

წამოვიდა და მოხარშა თავისი შვილი, გადაასხა ირმისას და თვითონ შევიდა ოთახში.

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი სიმღერით ამოვიდნენ. ამის შემდეგ ყველამ ერთად და ბედნიერად დაიწყო ცხოვრება“.

ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებო, თუ გსურთ ასეთ გაგრძელებაში შევიდეს გულანშაორული ცხოვრება, ქართველმა ქალებმა, რომელთაც იციან, რომ დევის სული სვეტშია, ისე უნდა შეღებოთ ეს სვეტი, რომ იმის შეხედვას არა სჯობდეს რა. მერე დევი გეტყვით „ჩემი სული თუ ასე გიყვარს ამ კატაში არისო! მერე ცოლებმა ისე უნდა გაალამაზონ კატა, რომ მეტი არ შეიძლებოდეს, შეუკერონ კარგი ტანისამოსი და ჩააცვან. დევი ამას რომ დაინახავს მოუნონებს საქციელს და ეტყვის: ჩემი სული ცხრა მთას იქით არისო. ერთ ხეზე ჩამოკიდებულია ცხრათავიანი დევი, იმის შიგნით უზის ირემიო.

ირემში შველია,

შველში

კურდღელი, კურდღელში

ბაჭია, ბაჭიაში

კოლოფი და იმ კოლოფში

სამი მერცხალი: ორი ჩემი თვალებია და ერთი ჩემი სულიაო.

ესაა სწორედ საუნივერსიტეტო ემბლემის გაგრძელე-

ბა. ბლუზონში კი ჩაინერება შემდეგი შინაარსი: შველს დედა მონადირემ მოუკლა და ტირის. შველს დედის პოვნა უნდა და ყველგან ეძებს, მაგრამ არ იცის რომ მისი დედა ქართული სიტყვაა კურდღელში ჩასახლებული, რომელსაც ისევ იმ მონადირის ეშინია და ჩირგვში ზის. ჩირგვში მჯდარ კურდღელს მუცელში ბაჭია ჰყავს, ეს ბაჭია არის მხედრული გარშემონერილობის სიტყვები ბაჭიას (სიტყვის ორად დაშლილი სახე) მუცელში აქვს კოლოფი, რომელშიც ბუდობენ ქართული ბგერები ფონოლოგიური შლილობით, რომელიც ყველა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის თვალებს 2 მერცხლად გადააქცევს და სულს კი მესამე მერცხლად (ამიტომ აირჩია იაკობმა ც-ს შესწავლის საგნობრიულ სახედ მერცხალი).

ეს რომ დაეჯერებინა საქართველოს ქართული ზღაპრის პირველსიტყვით იყოთი დაინყო რუსთაველმა ვეფხისტყაოსანი. ზღაპრული ინტონაციურობით შეუდგა ილია ჭავჭავაძე ოთარაანთ ქვრივის თხრობას: „იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა ნაბლიანს დავარქმევთ<sup>1</sup>. – ცხრათავიანი დევი შემოახვია ალავერდის მონასტერს აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ ჩხიკვათა ქორწილიც ისტორიამთხრობელივით დაინყო: „ეს ამბავი მოხდა ერთ დაბურულ, უღრან ტყეში...“ მერე ურთიერთის ვერმცნობი ქისტი ჯოყოლა და ხევსური ზვიადაური შეახვედრა ერთმანეთს ვაჟამ „სტუმარ-მასპინძელში“, რომ მისი და მთელი საქართველოს ერთიანობა მსოფლიოს ეხილა... და ეს ამბები დასასწავლ შინაარსებად იქცა მხოლოდ გამოცდების ჩასაბარებლად, რომ კვლავ კატებად მაინც რომ გადავრჩეთ. ცნობიერების საათის გასწორება აკაკიმ გვასწავლა და თან დაგვმოძღვრა არ შეგვშინებოდა:

---

1 ნაბლი – ზღარბია, ზღარბი ზღაპარი, რომელიც უჩინრად იპარება ხოლმე.

„ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ გამოსჭერთ“, ახლაც ვყვირი მე ნუ აჩქარდებით! ნურც შიშობთ განმტკიცდით, თქვენი ჭირიმი!“

ისევ იაკობ გოგებაშვილის ცნობიერება არეულ საათს დავხედოთ. იქ ვნახავთ, რომ ყველა ციფრი რომაული წერია. პირველის გარდა ყველა მე-თი იწყება, მე ბგერები კი საათზე ცხრასა და სამს დიამეტრული ხაზით აერთებს, რომელსაც ტოლფერდა სამკუთხედის ბისექტრისა სიზუსტით კვეთს და ცენტრს გვაპოვნინებს ზღვის ჭიპში. აქ დაიბადა რუსთაველი, კაცი, რომელმაც თავის „ვეფხისტყაოსანში“ მოკლული ირემი, თხა და კანჯარი ქურციკი მალლა მხტომელი სიზუსტით იცოდა, რომ დაიკავებდა თავის ადგილებს ეროვნული ცნობიერების საათზე.

## ქართული ცნობიერების კულტუროლოგიური საათი


1. ვინ? რა? – ბერთითის შინაარსის მატარებელი არსი.

2. რომელი? – საჩვენებელი თითი. მას თავისუფალი მოძრაობის უნარი აქვს. დანარჩენ სამსახსრიან თითებს არა.


მოთხრობით ბრუნვაში ღმერთის შესაძლებლობებში დადის.

„რომელმან შექმნა სამყარო...“

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სიტყვა აზრობრივი გასაღებია „ვეფხისტყაოსნისა“, ხოლო ბგერები ამ სიტყვი-








საკი ფონოლოგიური ვიოლინოს გასაღები.

ცნობიერების საათზე დატანილი კითხვითი ნაცვალსახელი რომელი სურ. წრე



ცნობიერების საათზე დატანილი „ვტ“-ის პირველი სიტყვა რომელმან

აქცენტი დავსვათ ერთ ფრიად შესამეცნებელ მომენტზე. ბგერები საათზე ვერ ნიშნავენ 5 საათსა და 7 საათს.

- რა არის **ნ**, რა სახელი ჰქვია მას ანბანში?
- ნ-ს სახელად ჰქვია ნარი ე. ი. ეკალი.

(დიდოსტატის მარჯვენიდან ერთი წინადადება წამოყოფს თავს ამ სიტყვის ხსენებაზე: „ერჩია სხვისი ხელით მოკრეფა ნარისა“.)

მაშასადამე, ნარი – ეკლიანი ბალახია.

● ეკლის ფორმა აქვს ენას, ოღონდ ისეთი ეკლის წაწვეტილებული ბოლო რომ არა აქვს, ნიკაპივითაა მომრგვალებული.

● ჭიანჭველა ეტყობა ჭაში იყო ჩავარდნილი რუსთაველის არაკი რომ გვიყვება ისე:



„ყრმამან უთხრა: ეგე საქმე ამას ჰგავსო არა სხვასა, ორნი კაცნი მიდიოდნენ სადაურნი სადმე გზასა...“

- მერე ამ კაცმა რაღაც საშინელი ეკლიანი სიტყვა თქვა და ისე ჩავარდა საათის ციფერბლატზე სადაც აწერია რიცხვი XI.

- ჩავარდა იქ თავად შოთა რუსთაველი, მის კვალობაზე ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი.

- საათის ციფერბლატზე კი მათ მაგივრად დარჩენილან ავთანდილის და როსტევეანის მოკლეული:

